



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შაური.

ხელის-ძაწკა ძაღება: თფილისში — „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15. **ბელაფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი. მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.— შინაური ციმოხილვა.— სხვა-და-სხვა ამბები.— კორესპონდენციები.— რუსეთის ცხოვრება.— საზღვარგარეთ.— ცოლი და ქმარი, მოთხრობა ეგ. ნინო-შვილისა.— ნაწვევები „გიოტეს“ ფაუსტიდან, დ. ნახუცრიშვილისა.— ისტორიული მეცნიერებიდან.— მეცნიერება და მეცნიერები, დ. თოფურისისა.— ჟურნალ-გაზეთებიდან.— პანწკები, რიგოლეტოსი.— ბიბლიოგრაფია.— სამეცნიერო ცნობა.— საქველ-მოქმედო საქმე.

მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.


II. ნაციონალისტები.

1. გარბაღდა.

მამინ, როდესაც საფრანგეთის, გერმანიის და ინგლისის პოლიტიკური მოღვაწენი მთელს თავის ძალ-ღონეს სამოქალაქო კითხვების გადაჭრას ანდომებდნენ, იტალიის მოღვაწენი-კი იძულებული იყვნენ სამოქალაქო კითხვასთან ნაციონალური კითხვაც შეეერთებიათ და ორივე ერთად გადაეჭრათ. იტალია— ეს ისტორიული მემკვიდრე სახელოვანი რომის იმპერიისა, 1870 წლამდის დანაწილებული იყო სხვა-და-სხვა დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებათ და ემორჩილებოდნენ სხვა-და-სხვა წეს-წყობილებას. ეს ნაწილებია: პიემონტი, სარდინია, ტოსკანა, ეკლესიის სამეფო, სიცილია და სხვ., ხოლო ჩრდილოეთის ერთი ნაწილი, ლომბარდია და ვენეცია, ავსტრიის მფლობელობაში იყო. მაშასადამე, იტალიის პოლიტიკურ მოღვაწეთა მოწოდებას შეიცავდა განეთავისუფლება ავსტრიისაგან დამოუკიდებელი ნაწილები, მოესპო სხვა-და-სხვა სამთავროები და მთელი იტალია გაეერთიანებია ტახტის თუ რესპუბლიკის დრო-


შის ქვეშ. და აი, მეცხრამეტე საუკუნის იტალიის მოძრაობა არის მოძრაობა ამ ერთობისაკენ, რაიცა შეკავშირებულა ერთი შესანიშნავი მოღვაწის სახელთან. ეს მოღვაწეა გარბაღდა.

ჟოზეფ გარბაღდა, შვილი უბრალო მენაფოსისა, დაიბადა 1807 წ. ნიცაში. ის მამასთან ერთად შეეჩვია ზღვაში მოგზაურობას და, როცა წამოიზარდა, შევიდა სარდინიის ზღვაოსანთა რაზმში. ამ დროს იტალიაში მოღვაწეობდა მეორე სახელოვანი პირი ჟოსეფ მაძინი, რომელიც აარსებდა საიდუმლო საზოგადოებებს იტალიის გასაერთიანებლათ და რესპუბლიკის დასაარსებლად. გარბაღდა მიემხრო მაძინის, მიიღო მონაწილეობა მაძინის პარტიის არეულობაში 1834 წელს. მაგრამ მოძრაობა მთავრობამ ჩააქრო, მაძინი და გარბაღდა უცხოეთში გაიქცენ. სარდინიის მთავრობამ ორივეს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა. მაძინი წავიდა ლონდონში და დააარსა



გარბაღდა.

იტალიანური გაზეთი, სახელათ „ხალხის მოციქული“, ხოლო გარბაღდა გადავიდა მარსელში და აქ გაკვეთი-



ლების შემწეობის ძლიერ ირჩენდა თავს. 1836 წ. გარიბალდი გაემგზავრა ამერიკაში, როგორც გემის კაპიტანი, და შევიდა ბრაზილიის რესპუბლიკის ზღვის სამსახურში. 1848 წ. ევროპის დედა-ქალაქებში ატყდა რევოლუცია. მაძინი თებერვალში ჩამოვიდა მილანში, დააარსა გაზეთი „ხალხის იტალია“ და საზოგადოება „ნაციონალური ასოციაცია“ და გამოიწვია მოძრაობა ლომბარდიის ავსტრიისაგან განსათავისუფლებლად და პიემონტისათვის შესაერთებლად და პარლამენტალური წყობილების დასაარსებლად. გარიბალდმა რა გაიგო ეს, მაშინვე გამოემგზავრა ამერიკიდან, მილანის მოძრაობას ველარ მოუსწრო, პიემონტის მეფემ ალბერტმაც უარჰყო ის, მაგრამ თავისი ნებით, ათას ხუთასი კაცით შევიდა ლომბარდიაში, შეებრძოლა ავსტრიელთა ჯარს და დამარცხებული შვეიცარიაში გაიქცა. იტალიის სამეფოებში მოხდა ხალხის აჯანყება და ყველგან, თვით პაპიც-კი, აიძულეს პარლამენტი შემოეღო. რომის პარლამენტში გარიბალდი არჩეულ იქნა დეპუტატად და 1849 წ. თებერვალში წინადადება წარადგინა საეკლესიო სახელმწიფო (პაპის სახელმწიფო) გამოეცხადებიათ რესპუბლიკად, რაცა შესრულებულ იქნა და რომლის მეთაურობა მაძინიმ იტვირთა. პაპს დაეხმარა საფრანგეთი და ავსტრია და იმავე წელს მისში აიღეს რომი. რევოლუციური მთავრობა მაძინით და გარიბალდითურთ გაიქცნენ. მაძინი წავიდა ლონდონში, ხოლო გარიბალდი გადავიდა სამხრეთ იტალიაში, შეებრძოლა რომის მომხრე ნეპოლიტანელებს, შემდეგ ავსტრიელებს და მხოლოდ სანმარინოში დაიშალა მისი ჯარი. გარიბალდი დაიჭირეს და იტალიიდან განაძევეს. ის გადავიდა ტუნისში (აფრიკაში), მაგრამ იქიდან საფრანგეთის მთავრობამ განაძევა, ტუნისელები არ ამიჯანყოსო. მოზრუნდა ისევ სარდინიაში, შეისყიდა მის გვერდით მდებარე პაწია კუნძული კანძუტა, სამუდამოთ იქ გადასახლდა და შეუდგა მეურნეობას (1854 წ.).

გარიბალდის და მაძინის ასეთმა მოძრაობამ დააშინა იტალიის ზოგი მეფენი და მთავრები. ხალხი იღვწოდა გაერთიანებისაკენ და ეს ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. მაგრამ გაერთიანება ნიშნავდა ან ყველა მეფეთა განდევნას და რესპუბლიკის დაარსებას, როგორც ამას მაძინი და გარიბალდი ჰფიქრობდა, ან-და ერთი მეფის დატოვებას და მის მთელ იტალიის მეფედ გამოცხადებას. ვინ უნდა ყოფილიყო ეს მეფე? რასაკვირველია, ის, რომელიც იტალიის გაერთიანების მეთაური შეიქმნებოდა. და აი, ეს მოვალეობა იტვირთა პიემონტის მეფემ ვიქტორ ემანუილ II-მ, რომელიც ავიდა ტახტზე 1849 წ. მისი მარჯვენა ხელი შეიქმნა გრაფი კავური. ახალგაზდა მეფემ ტახტზე ასვლისთანავე დაიფიცა, სიკვდილამდის ხალხის სურვილით იხელმძღვანელოს და სამეფო მართოს პარლამენტის საშუალებით. მან გააუმჯობესა ჯარი, კავურთან ერთად მოვლო პარიჯი და ლონდონი, მოიმხრო ნაპოლეონ III და შიგნით იტალიის რესპუბლიკანელები (მაძინისტები) და ასე ჩადგა ნაციონალურ მოძრაობის სათავეში. 1859 წ. ატყდა ომი პიემონტსა და ავსტრიას შორის, გარიბალდი გამოვიდა თავისი კუნძულიდან, შეადგინა თავისუფალ ცხენოსანთა ჯარი და მეფის ჯარების უმალ შევიდა ომში. ავსტრიას წაართვეს ლომბარდია და პიემონტი შეიერთა. გარიბალდმა მოინდომა თავისი ცხენოსნებით პაპის საბრძანებლის წინააღმდეგ გალაშ-

ქრება, მაგრამ კავურმა პოლიტიკური მოსაზრებით დაანება, ჯერ ადრეაო. გარიბალდმა მიატოვა ომის ველი და დაბრუნდა თავის კარპერაზე. 1860 წ. ვიქტორ ემანუილმა ისარგებლა ტოსკანიის ხალხის აჯანყებით და ეს პროვინცია შემოიერთა. გარიბალდი ხელახლა წამოვიდა მისაშველებლად, შეადგინა თავისი ჯარი (გარიბალდიონერები), ათასი კაცით გადავიდა სიცილიაში, განდევნა იქიდან ბურბონთა გვარის მეფე, აილო პალერმო და ვიქტორ ემანუილს დაუმორჩილა. იქიდან გადმოვიდა ნეპოლის სამეფოში, დაამარცხა ნეპოლის ჯარები, შეუერთდა ვიქტორ ემანუილის ჯარს და შევიდა ნეპოლში, სადაც ხალხი აღფრთოვანებით დაუხვდა. მან ყველა უფლებები გადასცა ვიქტორ ემანუელს და თვითონ ისევ თავისი კუნძულზე დაბრუნდა.

ამნაირათ, ვიქტორ ემანუელის სამეფოს შეუერთდა თითქმის მთელი იტალია, გარდა რომის და ვენეციისა. ის მეფედ გამოაცხადა იტალიის ხალხმა კენჭის ყრით და მანაც 1861 წ. მიიღო ტიტული „მეფე იტალიისა“. გარიბალდი მაინც ვერ ისვენებდა თავის კუნძულზე. 1862 წელს მან თავისი ნებით გაილაშქრა რომის ასაღებათ, მაგრამ ამას წინააღმდეგა თვით მეფე და გაჰზავნა ჯარი გარიბალდის შესაყენებლათ; რომის ახლოს ერთმანეთს შეებრძოლა ორივე ჯარი, გარიბალდი მძიმეთ დაიჭრა და ტყვედ წაიყვანეს, მაგრამ ვიქტორ ემანუელმა ისევ განათავისუფლა და კარპერაში გაჰზავნა. 1866 წ. ატყდა ომი პრუსიასა და ავსტრიას შორის. ამით ისარგებლა იტალიამ და გაილაშქრა ავსტრიის წინააღმდეგ. გარიბალდმა შეადგინა თავისუფალი ჯარი და 20 ბათალიონით შევიდა ომში. ავსტრია დამარცხდა და იტალიამ ვენეცია შემოიერთა. გარიბალდი დაბრუნდა კარპერაში. ახლა ერთად-ერთი რომი დარჩა გაერთიანებულ იტალიის გარეშე და აი, 1867 წელს გარიბალდმა ხელ-მეორედ გაილაშქრა პაპის წინააღმდეგ, მაგრამ მთავრობა დახვდა და გარიბალდი დატუსაღებული კარპერაში დააბრუნა. მოუსვენარი გარიბალდი გამოიპარა და თავისი ჯარით ჩუმათ მიადგა რომს, მაგრამ აქ ფრანგების ჯარი (პაპის მცველათ გამოგზავნილი ნაპოლეონის მიერ) შეხვდა, გარიბალდი დაიჭირეს და კარპერაში ძალათ წაიყვანეს. რომის მომხრე იყო ნაპოლეონ მესამე და ამისათვის იტალიის მთავრობა ვერც თვითონ უბედავდა რასმეს და არც გარიბალდს ანებებდა; 1870 წ. ატყდა ფრანგ-გერმანელთა ომი. ნაპოლეონი დაატყვევეს. ამით ისარგებლა ვიქტორ ემანუილმა და რომიც შემოიერთა და თავის სატახტო ქალაქად გაჰხადა. ამ რიგათ, 1870 წ. იტალიის გაერთიანება დასრულდა. გარიბალდმა მოაგროვა თავისული მეომრები და წავიდა საფრანგეთში მისახმარებლად. გამარჯვებულმა გერმანელებმა გარიბალდის ჯარი დაამარცხეს ქ. დიჟონთან და დაატყვევეს გარიბალდი. 1871 წ. ზავის შემდეგ ქ. ბორდომ გარიბალდი პარლამენტის დეპუტატად აირჩია, მაგრამ ის ჩქარა დაბრუნდა თავის სახლში კარპერაზე. გაიგო თუ არა პარიჯის კომუნა დაარსდაო, მან გამოსცა პროკლამაცია კომუნას სასარგებლოთ და მიემხრო კომუნარებს. გარიბალდი თითქმის მუდმივი წევრი იყო იტალიის პარლამენტის, მაგრამ ხშირ მონაწილეობას პარლამენტის სხდომებში არ ღებულობდა. გადაიკვალა 1882 წელს და დამარცხეს მისსავე ეზოში, კარპერაზე. მისი სასაფლაო გადაიქცა ნამდვილ წმიდა ადგილათ იტალიელთა-



თვის. იქ ხშირათ ასობით და ათასობით მიდიან იტალიიდან გარიბალდის ნემთის თაყვანის საცემლათ.

გარიბალდს ოთხ ალაგას აუგეს ძეგლი: რომში, ნიკაში, ვენეციაში და ლეკოკოში.


შინაური მიმოხილვა.

უკანასკნელ ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ შინაარსი თფილისის საქალაქო საკრებულოს გადაწყვეტილებისა ქალაქის მომავალ არჩევნების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მოტივების წინააღმდეგ ამხედრდა ამავე საკრებულოში თფილისის თავი ბ. ევანგულოვი. მისი აზრით, ქალაქის განაპირა ადგილების წარმომადგენლების ხმოსნებათ არჩევა წინააღმდეგ საბჭოში არა-ინტელიგენტების შეყვანას, რაიცა დიდ განსაცდელში ჩაგდებს ქალაქსო. პირიქით, საჭიროა, თუ შეიძლება, „განათლების ცენტრის“ დაკანონება ხმოსანთათვის. გარდა ამისა, შორეული უბნებიდან საბჭოს სხდომებზე დასწრება გაუჭირდებათო. ამნაირათ, ბ. ევანგულოვს ჰსურს საბჭოს დარბაზიდან განდევნოს განაპირა უბნები და, თუ შეიძლება, „უდიპლომაო ხალხიც“. ბ. ევანგულოვის შეხედულება დიპლომაზე ჩვენი ინტელიგენტების საზოგადო შეხედულობაა. ამათ წარმოუდგენიათ, რომ რაკი უმაღლესი გინდ საშუალო სასწავლებელი გაგვითავებია, უთუოდ ჩინებული საზოგადო მოღვაწეც ვართო. მაგრამ დღეს ვინ არ იცის, რომ საქმე კურსის დასრულებასა თუ არ-დასრულებასი კი არ არის, არამედ იმაშია, თუ ვინ რა სახელმძღვანელო პრინციპებით არის აღტურვილი და ერის რომელი ნაწილის ინტერესებს იცავენ. რომ დიპლომაი და განათლება კიდევ არ წინააღმდეგ ხალხის სამსახურს, ამის მაგალითს თვით ბ. ევანგულოვის საპატრონო საბჭო ჰმოწმობს. აქ, მისივე სიტყვით, 51 ხმოსანი უმაღლეს სასწავლებელში კურს დასრულებულია, 23-ს საშუალო სასწავლებელი გაუთავებია, ხოლო 6-ს არა აქვს განათლების ცენტრი. მაშასადამე, ჩვენი საბჭო სწორედ ინტელიგენტთა კრებული ყოფილა და ტყუილად კი არ სწერდა ამას წინად ერთი აქაური გაზეთი: ჩვენისთანა განათლებული თვით-მმართველობა მთელ რუსეთში არ არისო. მერე რა გაგვიკეთა ამ დიპლომაინმა საბჭომ? გაგვიკეთა ის, რომ ყველაფერი არივ-დარია და ვერც ერთ საქმეს თავი ვერ მოაბა. და ეს იმიტომ, რომ ეს დიპლომაინები მოავლინა ქალაქის შეძლებულმა მცხოვრებლებმა, რომელსაც ბ. ევანგულოვი „დვორცოვია ნომრების“ პარტიას უწოდებს და რაც კაი ხანია სოლოლაკელების სახელით არიან ცნობილი. და აი, ამ ბატონებისათვის ყველაფერი კარგათ მიმდინარეობს, გასაქირი არ ადგიათ და, რასაკვირველია, არც მათი ხმოსნები იწუხებენ თავს. ე. ი., ამ დიპლომაინ საბჭოს ხელს არ უშლის მისი დიპლომაი, რომ საზოგადო კითხვებს თავის ამომჩიველთა თვალით შეხედოს და თავისი კლასის ინტერესი დაიცვას.

8 მარტს „თფილისის კრუჟოკში“ ექიმმა ხატისოვმა წაიკითხა ლექცია სახალხო სახლის მნიშვნელობაზე. სახალხო სახლი ჩვენში ჯერ სრულიად ახალი ხილია და უმრავლესობას არ აქვს შეგნებული მისი საჭიროება. ამისათვის ჯერ კიდევ ბევრი პროპაგანდაა საჭირო, რომ სახალხო სახლის იდეა გავრცელდეს და შესაფერი განხორ-

ცილებს მიიღოს. ამ საქმის ერთი საუკეთესო პროპაგანდისტი უეჭველათ ბ. ხატისოვია. ლექტორმა პირველათ დაახსიათა ფაბრიკის გავლენა მუშის ორგანიზმზე. „შრომის მძიმე პირობები, განსაკუთრებით ჩვენს ფაბრიკებსა და ზაოდებში იწვევენ იმას, რომ 50 პროცენტი მუშებისა ქლეკით იხოცება. მუშები, მოკლებულნი სინათლეს, სითბოს, რიგიან საქმელ-სასმელს, ერთი სიტყვით, მიუცილებელ ჰიგიენურ პირობებს, ამრავლებენ გადაგვარებულ ადამიანთა კლასს. ისინი ეძებენ თავისული დროის დათრობით შევსებას. მათ არა აქვთ-რა დასასვენებელ ადგილათ, გარდა სამიკიტნოსი... 200 საფაბრიკო ექიმმა გამოიკვლია, რომ ის მუშები, რომლებიც თეატრებს, სახალხო კითხვებს, და სხვა ასეთ გასართობებს ესწრებოდნენ, გაცილებით კარგათ და ნაყოფიერათ მუშაობდნენ“ და სხ. („ტფ. ფ.“ № 59). და აი, ერთ ასეთ გამართობელ და მუშა ხალხის გონება-ზნეობის ამმაღლებელ დაწესებულებად ითვლება სახალხო სახლი. „სახალხო სახლი განხორციელებული თანასწორობა და ძმობაა“, — თქვა ბ. ხატისოვმა. ეს, მგონი, პირველი საჯარო ლექციაა ამ საგნის შესახებ თფილისში. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ლექციას დაბალი ხალხი თითქმის სრულებით არ დასწრებია. და ეს უთუოდ იმიტომ, რომ თვით ადგილი, სადაც ლექცია იქმნა წაკითხული, მიუდგომელია უმრავლესობისათვის. ბ. ხატისოვი რომ იმავე ლექციას სხვა უფრო მოსახერხებელ ალაგას წაიკითხავდეს — დიდ სამსახურს გაუწევდა თფილისის ხალხს და სახალხო სახლის იდეალიც უფრო გავრცელდება მთელ ქალაქში.

გაზეთების სიტყვით, მთავრობას განუზრახავს გზების ბეგარის მაგიერ ფულის გადახდა შემოიღონ და გზები ფულით დაქირავებულ ხალხს აკეთებინან. ასეთი ცვლილება დიდ შემწევობას მისცემს ჩვენს ხალხს. ცნობილია, რომ ბეგარაში გაჰყავთ უფრო დაძაბუნებული და ღარიბი გლეხობა, ხოლო სხვები, უფრო შეძლებულნი, ბეგარის გარეშე რჩებიან. სოფლის მოხელეები ამათ ვერ უბედავენ ბეგარაში გაწვევას, ვერ უბედავენ ან იმიტომ, რომ იმათი დაყენებ-გადმოყენება ამათი საქმეა ან და პირდაპირ ქრთამს აძლევენ და თავისუფლდებიან. გარდა ამისა, გზის გაკეთებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება. ერთი სიტყვით, ბეგარა მთელი თავისი სიმძიმით ტვირთად ადევს სოფლის მცხოვრებთა უმცირეს ნაწილს, დაბეჩავებულ გლეხობას და ეს უკეთებს გზებს დანარჩენ საზოგადოებას. ამას მიუმატეთ ისიც, რომ ხშირად ბეგარაზე გაწვევა ხდება გაზაფხულზე და ზაფხულში, როცა სოფლის კაცს ათასი საქმე აქვს და ერთი დღე ერთ თვეთ უღირს. ამნაირათ, გლეხობის ღარიბი ნაწილი კიდევ უფრო ღარიბდება და წიოკდება. როცა ბეგარა მოისპობა, მასთან ერთად მოისპობა მთელი ეს უსამართლობა. გადასახადს გააწერენ შეძლების დაკვალად სოფლის ყველა მცხოვრებთ, მაშასადამე, დღევანდელი მებეგრეები, შედარებით სხვებთან, დიდ შეღავათს მიიღებენ და სოფელთა შორისაც უფრო სამართლიანი დამოკიდებულება დამკვიდრდება. უეჭველია, ბეგარის მოსპობის წინააღმდეგნი იქნებიან სოფლის ბოზოლეები და მათი ამყოლ-დამყოლნი, მაგრამ, იმედია, ეს ვერ შეაფერხებს განზრახულ რეფორმას...



ქიზიყელები შეუდგენ მაჩხანის დეპოს ნეკროლოგის წერას. ჯერ, მართალია, ბევრი არა თქმულა-რა, მაგრამ, რაც ითქვა, იქიდანაც სჩანს, რომ დამნაშავეს გაფაციცებით ეძებენ და ვერ უბოვიან. და რომ დამნაშავე, თუ დამნაშავენი, უნდა იყვენ—ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. როგორც „ცნობ. ფურცელში“ დაბეჭდილი წერილებიდან სჩანს, დეპო ნისიების გაცემას დაუღუპავს. უეჭველია, ნისიებიც იქნება ერთი მიზეზთაგანი, მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ უნისიოთ არავითარი ვაჭრობა არ სწარმოებს და ვერც იწარმოებს. თუკი თვითონ დეპო დებულობდა საქონელს ნისიით, რატომ მან არ გასცეს ნისიით. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ნისია გარდახდილ იქმნას თავის დროზე, რომ მით საქმის წარმოება არ შეწყდეს. მაჩხანის დეპოს-კი ყველა წასაგლეჯად შემოდგომია და ვისაც-კი რამე უნისიავებია, უკან აღარ დაუბრუნებია. ამით შორის ყოფილან თვით დეპოს გამგენი და ხელმძღვანელებიც (ნადირაძე და სხ.). ახლა ერთი მითხარით, თუ-კი თვითონ მეთაურს გააქვს დეპოდან და უკან აღარ აბრუნებს, ე. ი. თუ-კი დამწყები თვითონ ანგრევს საქმეს, რა უფლებით მოსთხოვ გარეშე წევრთ ნისიები დააბრუნეო. და აი, არც-კი დაუბრუნებიათ და, როცა დეპო ასე წაქცეულა, მისი გამგე ბ. ნადირაძე (მაჩხანელი) დეპოს სტოვებს, მე აღარ მინდა მისი გამგეობა, ვინც გინდათ, ის დააყენეთო. წევრებმა, იმის მაგიერ, რომ ეთქვათ—ვინც გააფუჭა იმან გააკეთოსო, ბ. ნადირაძე თავისუფლათ გაუშვებს და სხვა მოიწვიეს. და რადგანაც მკვდრის გაცოცხლება ახლა აღარ ხდება, მაჩხანის დეპოც ვეღარ გაცოცხლდა და აი, ნეკროლოგის საგნათ შეიქმნა.

სხვა-და-სხვა ამბები.

ქენჯვადან გვწერენ: ეს არის „კვალიდან“ გავიგეთ, რომ აღარ გვყავს რაფიელ ერისთავი „გლეხათ შობილის“ მგოსანი, რომელმაც ღრმით შეიგნო ბეჩავის ბუნება და ააჟღერა თავისი ჩანგი **შრომის მდგომარეობის** გამო-სათქმელათ; აღარა გვყავს მცხოვანი მგოსანი, რომელმაც უკვდავ, პოეზიით სავსე ლექსებში დაგვისურათ-ხატა ქართველი მუშა-გლეხის ტანჯვა! დაგვშორდა რაფიელ... მაგრამ მან დაჩაგრულთა სალაროში დასტოვა ის სულიერი ძალა, რომელიც მას უკვდავ ჰყოფს, როგორც მუდმივ თანამშრომელს კერპის და ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთა: მან თავის ღირით ახადა ფარდა გლეხთა ცხოვრებას და დაინახა ქართველის გონების ქეშმარიტება... მან გვიჩვენა, რომ „დაკორძებულ ხელების“, „დაწყლულ-ლებულ ფხვების“ პატრონი, „ჯაფისგან მოქანცული“ — **ადამიანაა**, მხოლოდ **დაჩაგრულა**... რაფიელ დაჩაგრულთა პოეტია. რაფიელს უყვარს მუშა და ჩვენც გვაყვარებს მუშას. ამით მგოსანი საქართველოს ისტორიაში უკვდავ ჰყოფს თავის სახელს მშრომელ კაცობრიობის იდეალის-თვის მებრძოლთა შორის.

ნინო ოდიშელიძე, გ. გოგუჯია, ნინო თაფურაძე, დ. თაფურაძე.

წარსულ სამშაბათს, ნაშუადღევს 5 საათზე, გარდაიცვალა თფილისში ნიკიერი რუსის მწერალი ივანე ივანოვიჩი სვედენცევი, ცნობილი ლიტერატურაში ივანოვიჩის ფსევდონიმით. განსვენებული მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ და სატახტო რუსულ გაზეთებში.

14 ამ თვეს თფილისის ქართულ თეატრში დაიწყო თავისი გასტროლები ქუთაისის დრამატიულმა დასმატრის ვ. მესხიშვილის მეთაურობით. წარმოადგინეს „ჰამლეტი“ შექსპირისა. ჩვენ კი ხანია ასეთი გონიერი და საგულისხმო წარმოდგენა სცენაზე არ გვინახავს. ბ. მესხიშვილმა შეუდარებლათ ჩაატარა ჰამლეტის როლი, ხოლო ნ. ჩხეიძემ ოფელიასი. ქუთაისის დასი მხოლოდ ამ ორ პიროზე ყოფილა ერთიანათ დაყრდომილი. სხვა მოთამაშენი ერთობ ძლიერ მდარე არტისტებია. ბ. მესხიშვილს ერთი ცვლილება შეუტანია „ჰამლეტის“ წარმოდგენაში: ჰამლეტის მამის აჩრდილი სცენაზე არ გამოდის და ჰამლეტი მხოლოდ მის ხმას ჰყურებს შორიდან. ეს ცვლილება, ჩვენი აზრით, ძლიერ კარგი ცვლილებაა. სცენაზე მკვდრის სიარული ცუდათ მოქმედებს მაყურებელზე და პიესის მსვლელობას ბუნებრივობას აკლებს (საზოგადოების თვალში). ხოლო როცა მხოლოდ ხმა ისმის—ეს, პირიქით, ხელსაც უწყობს ილიუზიას, ჰალიუცინაციები ჩვეულებრივი მოვლენაა და ჰამლეტსაც ამას აწერ... ამ ჩინებულ წარმოდგენას, სანწყუხაროდ, ხალხი ბევრი არ დაესწრო, განსაკუთრებით არ ჩანდა ჩვენი ინტელიგენცია და არისტოკრატია.

გავახსენებთ მკითხველებს, რომ დღეს, 18 მარტს, ქართულ თეატრში ბ-ნი ქორიძე გამართავს კონცერტს. კონცერტში მონაწილეობას იღებენ: ქ.ქ. ევგ. სარაჯიშვილი, ე.კ. სარაჯიშვილი, ბ. ი. კარგარეთელი, ფ. ქორიძის მიერ ახლად შედგენილი ხორო და თვითონ ფ. ქორიძე. იმღერებენ ნოტებზე გადაღებულს ქართლ-კახურს, იმერულს, გურულსა და მეგრულ სიმღერებს.

უმალღეს მთავრობას ნება დაურთავს ახლად შემდგარ ფრანგთა უსახელო შავი-ქვის მრეწველ საზოგადოებისათვის შეუდგეს წარმოებას შორაპნის მაზრაში. საზოგადოების ძირის თანხა უდრის 1,600,000 ფრანკს. თითო აქცია საზოგადოებისა ღირს 500 ფრანკათ.

მთავრობამ განიზარა ამიერ-კავკასიის სოფლის მცხოვრებთ გზის ბეგარა გადახდეთ ფულათ, რისთვისაც უკვე ჰკრეფენ ცნობებს იმის გამოსაკვლევათ, თუ რამდენი ფული უნდა გაეწეროს სოფლის მცხოვრებთ.

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ წარსულ კვირას მიიღო დეპეშა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან შესახებ იმისა, რომ ხსენებულ საზოგადოების მიერ წარდგენილი პროგრამა გამოფენისა მცირეოდენის ცვლილებით იქმნება დამტკიცებული.

თფილისის სახალხო სახლის ასაგებათ შეგროვილი ფონდი უდრის ეხლა 17,500 მ.

კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მომხდარ უბედურების დროს დაშავებულნი უნდა მიღებულ იქმნენ იმ სამხედრო სამკურნალოებში, რომელნიც ახლო მდებარეობენ. ქალაქ ყარსის სამხედრო სამკურნალოსა, ქუთაისისა, განჯისა და ალექსანდროპოლის სამკურნალოებში მიიღებინ რკინის გზაზე დაშავებულნი ორივე სქესისა, ხოლო, რადგანაც დედათა განყოფილება არ არის სურამისა, ფოთისა



და ბათუმის სამკურნალოებში, ამიტომ აქ მიიღებიან მხოლოდ მამა-კაცები. ზემოდ აღნიშნულ სამკურნალოებში მიღებული დაშავებული პირნი უნდა შენახულ იქმნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს ხარჯით.

სამრევლო-საეკლიო სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიური კურსები წელს გამართული იქნება მხოლოდ ქართლ-კახეთის ეპარქიის მასწავლებელთათვის.

წელს კახეთში მოსულა სულ 40 ათასი ფუთი თამბაქო. ფუთი იყიდება საშუალო რიცხვით ხუთ მანეთათ თფილისში ჩამოტანილი.

ქუთაისის გუბერნიაში, გარდა სუხუმისა და ართვინის ოლქისა, ამ ეამთ სავაქრო-სამრეწველო დაწესებულებანი, რომელთაც უნდა გაეწეროთ ორ პროცენტიანი გარდასახადი, სულ ყოფილა 5,542 დაფასებულია 1,178,202 მანეთათ.

გაზ. „ივერიას“ ს. ბანოჯადან (ქუთაის მამრა) სწერენ, რომ იქ ლოლობერიძეებისა და ზვიადიძეების მამულში აღმოუჩენიათ საღებავი მადანი. მადნის შესამუშავებლათ შემდგარა ამხანაგობა და უკვე შესდგომიან საქმის წარმოებას.

ქ მ რ მ ს კ მ ნ დ მ ნ ს ი მ მ ი.

ს. ბარცხანა (კინტირის განყოფილება). 4 მარტს ბარცხანაში აკურთხეს საკვირაო სკოლა, რომელიდის ქარხნის მუშათა საცხოვრებელ სასახლეში. სკოლა ნუბა დასრულდა მთავრობისაგან მამა ს. თათბაძის სახელზე, მხოლოდ მასწავლებლებად კი იქნებიან ისევ ისინი, ვინაც ამდენ ხანს ღებულბდა მონაწილეობას, და თუ ვინმე კვლავ ამოხსნდა მსურველი ამ სიმბატიურ საქმეში მონაწილეობის მიღების, რასაკვირველია, სასურველიცა და სახატრელიც.

ბარცხანაში საკვირაო სკოლის გახსნა სწორედ რომ ავადყოფის დაიარაღებული ავადების მიგნებას და ეს ავადყოფი ავადი არც დაჩხა შეუმჩნეველი ჩვენს მტირე რიცხვოვან და საზოგადო საქმეზე გულ-შემსტკივარ მუშაკთ. ცხადია, რომ ბათობიდან ბარცხანაში მასწავლებლების სიარული დიდ შრომას მოითხოვს მათგან, მაგრამ, იმედია, არ დაიხარებენ. იმედია, ბარცხანელები დაფასებენ ამას და საკვირაო სკოლით ჯეროვანად ისარკებლებენ.

დადი მადლობის დირსია რომელიდის ქარხნის გამკე ბ. ზ. ი. ვანშიდტი, რომელმაც სკოლას სახლი უფასოდ დაუთმო და რამდენიმე შემწეობაც დაჭმირდა სკოლის გამკეს მამა ს. თათბაძეს, აგრეთვე უყვლა ამ საქმისთვის გულ-შემსტკივარი.

ამასთანავე, დვინო-არაგუ-ღუდის და კარტ-ხარდ-ზარის მოუვარულთ მინდა. ურში „ჩაუფუფურნულა“: ნუ თუ არ იციან, „ქეიფობა-თამაში“ რომ კარგი საქმე იუფს, მათ არავინ დახეობებს? აქაც ისე, როგორც უფილეგან სხვა რიგიან საქმეში, მდიდრები მოიფრან თავს და არა ჩვენსავით არაფრის მქონენი.

დროა ბატონებო, დრო, რომ მოვიდეთ განსა... უარყოფილი.

P. S. წინანდელ ჩემს კორესპონდენციას ბარცხანიდან ბარცხანელები „გუჯავრებია“. ამაზე მოვასხენებ ბ. ბ. ბარცხანელებს, რომ არც მე მინდოდა თქვენი წყენა, მარა რა ვქნა, როდესაც ამის მიზეზი თქვენ თვითონ ხართ? უარყოფილი.

დ. ყვირილა. შეითხველთ უკვე მოკლედ მოხსენდათ, რომ 3 მარტს, დამის 11 საათზე აქ დაიწვა ერთი ვაგონი, რომელიც ფართლით თუ სხვა ნივთებით იუფ გატენილი. ეს საქონელი ეკუთვნოდა ვილაც ს., რომელსაც ჭიათურაში მიჭქნდა. უფილე ამაზე მოხდა ფიტხელი გამოძიება და ჯერ-ჯერობით აღმოჩნდა შემდეგი: ზატრანს ჭქნის დაზღვეული საქონელი 25,000 მანეთში; ჯერ წაუღია, ვაგონით, სენაში, იქიდან ფოთში რამდენიმე ხნის შემდეგ, მერე ისევ ბათუმში, ვითომ სულ შეცდომით; ხოლო შემდეგ გაუსტუმრებია ჭიათურისაკენ; სესტა-ფონში-კი გაუჩნდა ცეცხლი და დაიწვა. დარაჯებმა გაიგეს, რომ ვილაც ვაგონში შევიდა, გაიქცენ ყვირილით, ამ დროს ვაგონიდან გამოვარდა კაცი და გაიქცა; თოფი ესროლეს, მაგრამ ბოროტ-გამზრახველმა მაინც თავს უშეფლას ბნელში. ამ დროს ავარდა ალი ვაგონში და მოკლდა უფილეაფერს. როცა წყალი მას შემდეგ და ცეცხლი გააქცეს, აღმოჩნდა იმისთანა ფართალი, რომელიც ახალ ნავთ-გადსხმული იუფ... ფართალი კიდე ბუგრი გადაარჩინეს, მაგრამ შეირიანი არა რეულა-რა; ვარდა ამის აღმოჩნდა ურიტხვი ფრანგული თვით მასწავლებელი ვილაც ნამზარეულარის შედგენილი, რომელშიაც შეტემა შეტია. მინამ სიტუებია. ერთი სიტუებით, ვაგონი სულ უბრალო და მდარე ფისის საქონლით უფილეა გამოტენილი. არა ვაგონებ, სულ იუფს ათასი მანეთის ზარალი; მიუხედავად ამისა, ზატრანი მოკლის ამ სასადგომად 25,000 მანეთს. ადდგომაც ამისთანა უნდა და ხელის გამართვაც. მაგრამ ახლა ის ვიკითხვთ: იმ საცოდავ დარაჯ მუშებს როგორი ადდგომა უნდა გაუთენდეთ, რომელნიც ბრალდებში არიან ჩავარდნილნი დაუდევრობისათვის..

ს. ხაში (თფილისის მამრა). ხაშიელებს ადრე მოკვივი და წელს გაზაფხული! იანვარმა ისე გაიარა, რომ ერთხელ არ დასველებულა დედა-მამა. კარგმა ამინდმა ძალიან გამოიტეუა ხეხილი, ნუში სულ კადიპენტა, მინდორში და ვენასებში მწვანემ ამოტეო თავი, ჯეჯილებიც ძალიან კარგად წამოიზარდა, აქურებმა გააზრადეს გუთნები და დაიწეს გაზაფხულის ზურის თესვა, მით უფრო, რომ თავიანობის ეშინდოდათ. კარგი დარების გამო თავი ძალიან გამრავლდა ასე, რომ უფილე ფეხის გადადგმაზედ ორი-სამი თავის სორო შეტხვდებოდათ. მაგრამ დადგა დიდ-მარხვა და დაიწყო საში თოვლი, თითქმის მტკაველზედ დადო და ზედაც შესუნა წვიმა მიუფოლა.—ათქვიფა ხაშიის თინხარი გზები, ადამიანისთვის შეუძლებელი გახდა შეზობლიდან შეზობელთან გადასვლა. მარხვის ზირველ კვირის შაბათ დღეს უარებელი ხალხი იუფ საზიარებელი და ლაფების გამოკრკლეს ფაიტონებით მიბრძნდენ ეკლესიაში.

მიზეზი ამგვარი უგზობისა ის არის, რომ ჩვენ სოფელს სინადრე გზები არა აქვს; თუმცა მამა-პაპას დაუდვია ნიადვრის ჩასვლელი ადგილები, მაგრამ ეხლა მათ ადგილზედ ვენახები და სახლები არის გაშენებული. საზოგადოთ აქეთ ძალიან არის გაძვირებული ადგილ-მამული. დესეტისის 1/4 ორმოცდაათ თუმნათ იყიდება. აი ამით აინსებია ის ვიწრო გზები, რომელიც ეხლა ხაშიში არის. ხშირად კაცი მიდის გზაზედ, ერთბაშად მიადგება ლაფს, ადარ იცის სით წავიდეს. ეხლა ამოარჩიეს ურილობაზე კანები გზების გასასწორებლათ (დმურთმა ხელი მოუმართოთ), მაგრამ, როგორც კავიკე, ვინც მისცემს რასმე, იმას დობეს არ ააშლეუნიებენ, და ვინც არა-და—იმისკი სანქარად აუშლიან ხოლმე (ხეტია ტუილი იუფს). აქეთ ზირი შეეკრა დვინის ვაჭრობას, ასე ეტონება კაცს, სირაჯებს ზირი ზიხს მიუციათ. თავად მოსავალი არ იუფ და ისიც ჯერ კავიდიეთ. შიგადა-შიგ თუ გაჩნდება სირაჯი, ისიც მძიმეთ

იქცევა; საითაც გაიკებს, რომ ძალიან უჭირს, იმის მიატანს და, რასაკვირველია, იათო დაიუღლიებს. სახალხე 9 თუმანში და 8 თუმანში იყიდება მაშინ, რადესაც სხვა დროს 15 თუმანში იყიდებოდა. რა არის ამის მიზეზი? თუ სიტუაციას ვიტყვით, მგონი, ამაზე ნაკლებად ჯერ არ მოსულიყოს ხაშში ღვინო. — კიდევ ვნახეთ შემდეგი რას გაგვაგებინებს და რას გვიჩვენებს.

ყორანი.

რუსეთის მხარეებზე.

ზანსკეებზე მინისტრის ბოკოლევიჩის კვამი გადმოსვინეს მოსკოვში. იმის მკვლელის ნამყოფ სტრუდენტის კანკოვინის საქმე-კი, რომელიც უნდა განჩეულიყო 3 მარტს, გადადებული იქმნა. მისი დაცვა კეისრის გამჩინილ ნათივ ვეჭილს კარანჩე-სკის, მაგრამ მონასურებ უარი განაცხადა; მთავრობამ თითონ დაუნიშნა დამცველი.

9 მარტს, ღამით, ნიკოლოზ ლიგოვსკიმ ქუჩიდან ფანჯარაში ესრელა რევოლვერი უწმიდისის სინოდის ობერ-პროკურორის კ. ზობოლენსკის, რომელიც ამ დროს იჯდა თურმე თავის კაბინეტში და მუშაობდა; ორი სროლის შემდეგ ლიგოვსკიმ მუ-სამეთ კარის დარაჯის ფანჯრისკენ გაისროლა, შეთხუ-კი მოუ-ცდა. ობერ-პროკურორი უვნებლად გადაჩნა. გამომიებას წარმო-ებს სკანკებო საქმეთა გამომიებული ზეტ. სამ. ზალატის პრო-კურორის მასინოვიჩის სედასედელობის ქვეშ.

მხუთაქტურულ წარმოების დამხმარებელი საზოგადოება აარსებს მოსკოვში საშუალო სათეიქრო წარმოების სასწავლებელს. ამ მიზნით საზოგადოების წევრთა შორის უგვე შეუკრებიათ 300,000 მან. სასწავლებელთან იქნება ზატარა სათეიქრო ფა-ბრიკა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა „ნავ. ვესტ“-ში ცირკულიარი, რომელშიაც გუბერნატორებს, ობერ-პროვინციისტ-რებს და ქალაქის სამხედრო უფროსებს უჩვენებს ზომებს, რი-თაც შესაძლებელი იქმნება დროზედ მოისზოს ხელმე ქუჩებში უწესოება და შვიდობიანობა დამარდეს.

ზეტერბურგის ქალაქის სამხედრო უფროსმა მოახდინა გან-კარგულება, რის ძალითაც უნდა დაიხუროს რუსეთის შვერდთა საურთიერთო დამხარების კავშირი, რომელიც იყოფებოდა რუს ლიტერატორთა საზოგადოებასთან.

ახალ სამსწავლო წლიდან ვარშავაში ჰინსიან ზირველს შვიდ-კლასიან უმაღლეს კომერციულ სასწავლებელს ქალბისთვის ორი მოსამზადებლის კლასით. ეს სასწავლებელი იქნება ფინანს-სთა სამინისტროს გამოკების ქვეშ.

ხარკოვო-ნიკოლაევის რკინის გზაზე მოსამსხურე მუშე-ბა და ოსტატებმა განასწავრეს სენატში ნიკოლაევის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილება, რომელიც მოვალეთა ჰინდიდა მათ, ეხანათ ხარჯი საავადმყოფოს სასარგებლოდ. სენატმა ეს დადგენილება საკრებულოს სცნო არა მართებულად და გააუქმა. თანაც განმარტა, რომ რკინის გზებს თითონ უნდა ჰქონდეთ საავადმყოფოები და ქსენონები, ის გზები-კი, რომელთაც ეს არა აქვთ, ვადდებულნი არიან თავის ხარჯზე უწამლონ საქალა-ქო საავადმყოფოებში ყველა რკინის გზაზე მოსამსხურეთ, ოს-ტატებს, მუღვივ და დროებით მუშებს და მათთან მცხოვრებ ოჯახობასაც.

ვარშავის იურისტის გადუწვევით დაარსონ ზირველი ვეჭილთა კანტორა მუქთი რევის მისცემად ზრავის უბანში. აქამდის ზრავის მცხოვრებნი და განსაკუთრებით დაბალი ხალხი ხელში ჰეაფდთ ჩავდებული გაიძვრა „ახალკატებს“.

გამოცხადდა სავალდებულო დადგენილება ზეტერბურგის ქალაქის უფროსის:

„მუხლი 1-ლი. ხალხის ყრილობა და კრება ქუჩებზე. მოკლებზე, ბაღებსა და სხვა საზოგადო ადგილებში სათათბი-როთან სამაქმედოთ ადრდალულა, როგორც წინააღმდეგნი წე-სიერებისა და შვიდობიანობისა.

მუხლი მე-2. როდესაც ქუჩებში უწესოება მოხდება, კარეშე ზირთ ადრდალული აქვთ თავის მოყრა ზირველ მუხლში აღნიშნულ ადგილებზე

მუხლი მე-3. ზემოხსენებული ყრილობანი და კრებანი და აკრეთვე კარეშე ზირნიც მოვალენი არიან დაიშლენ ზოლიციის ზირველ მოთხფინისათხავე.

მუხლი მე-4. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, მას ად-მინისტრატორის წესით მიესჯება 3 თვემდე დაზატირება, ან კარდასდება ჯარიმა 500 მანეთამდე.

მუხლი მე-5. ეს დადგენილება ძალში შედის მისის გა-მოცხადების დღიდან და შეეება სატარტო ქალაქსა და მის მიდამებს“.

როგორც „ფინლ. გაზ.“ გადმოგვცემს, ფინლიანდიის მთავრობას 22 თებერვალს დაუდგინა, რომ გაზ. „Hämäläi-nen“-ის გამოცემა მოისზოს სრულიად, რადგანც ფრიად მანე-ბული მიმართულების არის, რის გამოც არა ერთხელ ყოფი-ლა დაჯარიმებული.

იმავე მოაფრობას იმავე რიცხვში დაუდგინა: რადგანც ზო-კიერთი გაზეთები ათავსებენ საწინააღმდეგო სტატორებს, გამო-ცხადოთ გაფრთხილება მანე მიმართულებისათვის შემდეგს გა-ზეთებს: „Huvudstadshladet“, „Noborgshladet“; შემდეგის გაზეთების გამოცემა აკრდალას ორი თვით: „Tamerxoy's Ny-heter“, „Bogda Nya Tidning“ (ამაში მოთავსებული იყო სტა-ტია „მღვდლები და კანონის სიწმიდე“); სამის თვით გაზეთი „Borgshladet“ (მოთავსებული იყო სტატია „ახალი წლის და-საწეისში“); ოთხის თვით გაზ. „Ita Juomen Sanomat“ (აქ იყო მოთავსებული გადაკეთებული „მამაჩვენო“ და „საიდუმ-ლო დაბეზდების“).

გაზ. „Wipurin Sanomat“-ის გამოცემა აკრდალას სა-მუღამოთ, რადგანც დაბეჭდა სტატორები „მოჩვენებისნი“ და „წე-რილი ჰელსინგოფრსიდან“, აკრეთვე საზოგადო მანე მიმარ-თულებისათვის, რომლის გამოც იგი არა ერთხელ იყო დაჯა-რიმებული, მაგრამ მანე შეუდრკელად განაგრძობდა თავის გზას.

რუსეთის მსწავლებელთა კრება (მოსკოვში), რომლის მიზანი იყო საერო განათლების შესახები კითხვების გამოკველე-ვა, დასრულდა. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სასწავლებელს უმთავრეს მიზნად უნდა ჰქონდეს აღზრდის კითხვები და სასკო-ლო წესიერება (დისციპლინა) დამუარებული უნდა იყოს მსწავ-ლებელთა და მოსწავლეთა შორის სიყვარულსა და ზატოვისცემი-ზე. ზირველ-დაწეებით სასწავლებელში ადგილი არ უნდა ჰქონ-დეს ფიზიკურ დასჯას. სასურველია ქალბის ზოგომიან-ბის დასარსება მსწავლებლების მოსამზადებლად. ექიმებს ხება უნდა მიეცეთ დახურონ ხელმე სასწავლებელი, როცა გადამდები სენი განდება სასწავლებლებში. კრება წინააღმდეგია, რომ და-წეებით სასწავლებლებში ხელობა აწავლონ შეკადრებს. ხელო-ბის შესწავლად სპეციალური სკოლები უნდა აარსებოდეს. სა-სურველად იქმნა ცნობილი ხატვის და სხვა გავეთილების დაარ-სება ოთხ-კლასიან სასწავლებლებში. სასურველია შემოღებულ იქმნას ხელსაქმე საოჯახო ავეჯეულობის დამზადების შესასწავ-ლად; სასურველად იქმნა ცნობილი მოსწავლეთა შორის სამეცნი-



ერცხლის გავრცელება დრო-გამოშვებით ეურსების გამართვის საშუალებით და ბაღებისა და ბოსტნების დაარსებით. ქარხნებში მომუშავე ბავშვთათვის სასურველად იქმნა ცნობილი დაარსება საქარხნო ორ-კლასიანი სასწავლებლებისა. სასურველია გავრცელება ისეთ საზოგადოებათა, რომელნიც აგრძელებდნენ განათლებას კლასის გარეთ ხალხში.

◆ ოდესის ზოლიცაში გამოცხადებულა მცხოვრები ქ. ოლ-გობელის (ზოდოლის გუბ.) ათანასე დმიტრიევი და გამოუცხადებია, რომ იგი იყო დამნაშავე იმ მკვლელობაში, რომლის გამოც სხვები დასჯეს. შემდეგ საქმეც აუხსნია: 1890 წ. ქ. ოლგობელში ცხოვრების დროს, იგი წასულა ტრაქტორში არეისათვის. დამის 9 საათი ეოთიდა, კარი დაკეტილი დაჭხუდ-რია, დაუბრუნებია; გაუღიათ, მაგრამ ტრაქტორის ზატრანს უარი უთქვამს, გვიან არის და არაყს ადარ მოგცემო. ამ უარით გაბრაზებულს დმიტრიევს აუღია დაზვიადან „კრეუკა“ და თავში დაუკრავს. ერთი-კი დაუფინნია ტრაქტორის ზატრანს და სული განუტეებია. გამოსულა ცოლი, ისიც ზედ მიუფლებია. ამის შემდეგ არხეინად დაბრუნებულა შინ. რცხა მისამსხურეს გაუ-გია ეს უბედურება, შეუტეობინებია ზოლიცისათვის; მასაც შე-უბურია რამდენიმე მუშა ფიშმანის ქარხნისა, რომელთაც თურმე იმ დროს ტრაქტორის ახლო გაიარეს. მათ დაჭბრალდათ მკვლე-ლობა და სასამართლომაც მიუსჯა მანებში მუშაობა უდნაშუ-ლო ხალხს. თითონ დმიტრიევი-კი 1891 წ. სადღათად წაიგვა-ნეს და 1896 წ. სამსხური გაუთავებია და ოდესში ჩამოსულა საშუალო საშოვნელად. უკანასკნელ ხანებში სინილისს შეუწეს-ბია და გადაწვევით, გამოემუღანებინა თავისი დანაშაული.

დმიტრიევის ნამბობი შეამწმეს და მართალი გამოდგა. დმიტრიევი დატყვევს და სამართალს გადასცეს.

ს ა მ ლ ვ ა რ გ ა რ ე თ.

ინფლიზი. ინგლისის სამეფოებო ინდოეთის მცხოვრებთა რაოდენობა, როგორც წლეუანდელი აღწერიდან სჩხს, 221 მილიონიდან ასულა 231 მილიონამდის (უკანასკნელ ათ წელიწადს) ე. ი. უმატია 4 1/2 %⁰. მეორე მხრით, ინდოეთის დამოუკიდებელი ზრდვინციების (სამთავროების) მცხოვრებთა რაოდენობას დაუკლია 66 მილიონიდან 63 მილიონამდის.

საზრანგეთი. საფრანგეთის აგრარიელები არ დაკმაყოფილდნენ უცხოეთის ზურსე არსებულ ბაჟებით და მიინდომეს გატანად ზურსე ზრეპების მიღება. შესთერი ზრეპტიც შეიტანეს სენატში, მაგრამ მის წინააღმდეგ ამხედრდა თვით მთავრობა და ზრეპტიც უარ-ჭეუეს. აი რა სოქვა მინისტრმა კაილომ ამის შესახებ: „ზრეპტის მიზანია ასწიოს ზურის ფასები, რამდენათაც-კი შეიძლება. და მართლაც, ორი ფრანკით მანინც გაძვირდება ხორბალი. ვისთვის იქნება ეს ხაზინა? ვისთვის და ქადაქის და აგრეთვე სოფლის დემოკრატიისთვის, ვინაიდან მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი ზურის შეიდეგლია და არა გაშეიდეგლი. მეურნეობის მინისტრმა უკვე განაცხადა, რომ ერთი კოდი ზურის ერთი სახტომით (1/4 კან.) გაძვირება ნიშნავს ერთზე 80 მილიონი ხარკის დაღებას, ე. ი., ხალხს უნდა გადავანდევიოთ ამდენა ფული იმიტომ, რომ ის დაუფრიგოთ ერთ მუჭა მსხვილ მემამულეთ. ჩვენ არ გვსურს ესა“ და სხვა.

— ნაციონალისტა მეთაურმა ვიუმ ლემეტრემ ამას წინათ ლექცია წაიკითხა ლიონში საფრანგეთის ზარტების შესახებ, მაგრამ ლიონის მცხოვრებლებმა ძალიან ცუდათ მიიღეს ლემეტრი. იმ სახლის წინ, სადაც ლექცია იყო დანიშნული, ერთი საათის წინ შეგროვდა ხალხი და ლემეტრს ამ სიტყვებით დაუხვდა:

„ძირს ლემეტრი, ძირს იეზუიტები! გაუმარჯოს ვადდეკარუს სოსო!“ ზოლიცამ ძლივს გარეკა მანიფესტანტები ზადაში, სადაც მხოლოდ ბარათებით მონატიეებელი მსმენელები იყვნენ, ლემეტრი კარკათ მიიღეს. მან, სხვათა შორის, სოქვა: წინათ იყვენ კოლეკტივისტები, რადიკალ-სოციალისტები, რადიკალები, ზო-მიერი რესპუბლიკანელები და მონარქისტები. დრეიფუსის საქმემ ყველა ეს განსხვავება მოსზო და წარმოშვა მხოლოდ ორი ზარტია: „ინტენაციონალ-სოციალისტები და ზატრიოტები“. ზატრიოტებათ დასახა თავისი ზარტია—ნაციონალისტები, სოლო დანარჩენნი—ინტენაციონალისტებათ. ლექციის გათავებისას დიდ-ძალი ხალხი დახვდა გამოსავალთან და ლექტორიც იძულებული იქმნა უკანა კარებიდან ზოლიცის მივარველობით ეტლით განა-რულიყო, მაგრამ ხალხმა შეამჩნია და სტვენით და უყინით შეხვდა. ლემეტრემ ზოლიცის საშუალებით, როგორც იყო, მშვი-დობით მიადწია თავის ბინას.

ინსპანი. სკასტანს ლიბერალური სამინისტრო თან-და-თან იძებს მკვიდრ ნიადაგს. თუმცა ზარლამენტი კონსერვატორთა უმრავლესობისაგან შესდგება, მაგრამ სამაგიეროთ ახლათ მომხდარმა არჩევნებმა ზრდვინციათა საბჭოებში სრული გამარჯვება არკუნა ლიბერალებს.

— მადრიდში მოხდა საჯარო მიტინგი, რომელსაც დაესწრო უნივერსიტეტის ზროფესორები, გიმნაზიების და სხვა სასწავლე-ბელთა მასწავლებლები, რიცხვით 600 და დაადგინეს თხოვნის მთავრობას, გაუქმებულ იქმნას ის უზირატესობანი, რომლითაც აღჭურვილია ბერების კონგრეგაციების სასწავლებლები. ამ ახლო ხანში მოხდება ასეთივე კრება ისპანიის ყველა საერო სასწავლე-ბელთა მასწავლებლებისა და მთავრობას წარუდგენენ ასეთსავე თხოვნას. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ მონასტრების სავაჭრო საქმეებსაც დაავადებ ჩვეულებრივ სავაჭრო გადასახადს, რომლისაგან დღემდის თავისუფალი იყვნენ. მიუხედავად ყველა ამისა, სასულიერო წოდება დიდ წინააღმდეგობაშია. მკ., ქ. დენში მღვდლებმა აღსარება არ ჩამოართვეს იმათ, ვინც ანტი-კლერიკალურ ზივისს „ელექტრას“ წარმოდგენას დაესწრო.

კრიბა. კუნძული კრეტა, რომლის გამო ამ სამი წლის წინათ ბერძენ-ოსმალთა ომი ატუდა, შედის ახლად თავის ნორ-მალურ კალაპოტში. მას მიენიჭა უფლება აირჩიოს საერო კრება (ზარლამენტი), რომლის ხელში იქნება მთელი კანონმდებლობითი ძალა, ხოლო აღმასრულებელი იქმნება საბერძენეთის მეფის შვილი გიორგი, რომელიც ვერონისსხელმწიფოებამა კუნძულის მმართველათ დანიშნეს 1897 წ. საერო კრება შედგება 73 დეპუტა-ტისაგან, ამათში 10 დანიშნავს მმართველს, დანარჩენთ ხალხი ირჩევს. არჩევის უფლება აქვს ყველა სრულ წლოვან მამაკაცს. ამთგან გამორიცხულია მღვდლები, ბერები, ჯამაკრიანნი მოხუ-ლეხი, ხმალხები, ჯარის-კაცები და ფანდრემ-ზოლიციელები. ზირველი საერო კრების არჩევანი მოხდება 28 აპრილს.

ინფლიზ-ბრანსვალის ომი. გამართლდა კრიუგერისა და მის მახლობელთა მოლოდინი: ბოტანს მოლანარაკებაში კიტჩუ-ნერთან ვერვითარი ხყოფი ვერ გამოიღო. როგორც დეპეშა იუწევს, ბოტამ მოლანარაკება უკვე შესწვიტა, რადგან მას ბურე-ბის სხვა კენერლები არ ეთანხმებოდნენ ამ საქმეში და მებრძოლ ბანაკთა შორის ისეთივე დამოკიდებულება დამუარდა, როგორც მოლანარაკებამდე იყო, ე. ი. ომი ისევ წინანდებურათ გრძელ-დება. აქ-იქ მტრებს ძლიერი შეტაკება ჭეჩნდათ ერთმანეთთან. 12 მარტის დეპეშა იუწევს, რომ 400 ბური თავს დაესხა, დამტვრია ინგლისელების სურსათიანი მატარებელი და თან გაიტაცა რამდენიმე ვაგონი საქონელი. იმავე დღის დეპეშის სიტყვით, ცხარე ომი მოხდა 9 მარტს გარტებისოფენტონთან.

ჩინეთი. საეურადღებო ამბავი ჩინეთში ამ ბოლო დროს ის არის, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის იქ გვაგონი უსიამოვნება მოხდა. საქმის ვითარება ასეთია. ტიან-ძინის მახლობლად ინგლისელთა რკინის გზა გაჭყავთ და, როცა გზის მუშებმა ერთ ადგილას მუშაობა დაიწყეს, მათ წინ დაუხვდათ რუსეთის ჯარი და მუშაობის ნება არ მისცა იმ მისწრაფებით, რომ ხსენებული ადგილი რუსეთს ეკუთვნის. რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ინგლისის ჯარი გამოვიდა და ასე ერთი სახელმწიფოს ჯარი ერთი მეორეს დაუბრუნდა, შესტაკებლად გამზადდებულნი. მაგრამ ეს ამბავი საჩქაროდ ეუწყა ორივე სახელმწიფოების მთავრობას და ეს მთავრობანი ჯერ-ჯერობით უკვე შეთანხმდნ ერთმანეთთან იმაში, რომ სადა ადგილისა და იქ რკინის გზის გაყვანის საქმე მათ განიხილონ დიპლომატიურათ, ხოლო მანამდე კი რკინის გზის მუშაობაც შესწყდეს და ჯარებიც იქმნას გაყვანილნი სადაც ადგილიდან. მეორე მხრით, რუსეთს და სხვა სახელმწიფოებს დიპლომატიური მოლაპარაკება აქვთ გამართული მანჯურის შესახებ. ამ მხრეების უხეხავს მთავრობებს ჩინეთი რუსეთს უთმობს და აი ამის წინააღმდეგი გახდა ექვსი სახელმწიფო: ინგლისი, გერმანია, ავსტრია, იტალია, იაპონია და ამერიკა. ესენი ჩინეთს ძალას ატანენ ხელ-შეკრულებასზე ხელი არ მოუწერონ რუსეთს. რუსეთი აცხადებს, სრულებით არ გვაქვს აზრათ მანჯურია დავისაკუთრებთ, მაგრამ სახელმწიფოები ამას არ აქტევენ უურადღებოს, თითქმის არ სჯერათ.

ცოლი და ქმარი

მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა.
(შემდეგი.—ნ. № 11).

სახელის გამოცვლა კარგი, ვათავდა, ეს ერთი წამის საქმე იყო, მაგრამ თავი და თავი საქმე—მელანიას განვითარება „ყველაფერში“ ჯერ კიდევ წინ ედო თინათინს. თინათინმა ძლიერ შეიფერა გამწრთვლის როლი და ეუბნებოდა მელანიას: „აბა, ქალო, ქმარს პირისაბანი წყალი მიართვი... სავარცხალის მირთმევა არ დაგავწყდეს“; „დღეს საღე კაბა ჩეიცვი“, „რომელი ჩლოქი (ვითომ და „ჩლოქი“) ჩავიცვამს, მაჩვენე. აგი დღეს არ უნდა, აგი კვირეს ჩეიცვი“; „შენი ქმარი რომ შამოვიდეს, შენ წამოხტი და ფეხზე დადექი“; „დღეს უსკუდარის ციკახოცი დეიხურე თავზე“ და ვინ მოთვლის რამდენი ასეთი დარბევა მისცა და აძლევდა კიდევ თინათინ მელანიას. ამ დარბევის დროს თინათინ ამბობდა: „თითი სიგძე ბალანაი ვიყავი, რომ მომიყვანეს, მარა სტავლება არ დამქივრებია. შენ შევილათ შეგეფერებოდი, რომ მომიყვანეს, მარა სხვას ვასტავლიდი, თვარა სხვისგან მე რაღა დამქირდებოდა სტავლებას!“ ასეთ ამბებში იყო ჩვენი თინათინ, ძლიერ დიდი ხალისით იყო საქმეზე მიმდგარი, მაგრამ ორი გარემოება ამ თავითვე ცუდ გუნებაზე აყენებდა: ერთი, რომ მელანია თუმცაღა სიტყვით არ უწყევდა წინააღმდეგობას, მაგრამ არც ყურადღებას აქცევდა თინათინის სიტყვებს, როცა თინათინ ეუბნებოდა: „დღეს აგი კაბა არ უნდა, აგი გვიძრე და მეორე ჩეიცვიო“, მელანია ისევ ისევ იმავე კაბით იყო, თითქო არც-კი უთქვამთ იმისთვის რაო. მელანია არ იყო ჯიუტი, მაგრამ, როცა თინათინს შეატყო—ამთავითვე ყოველივე ჩემი მოძრაობის, სრული ჩემი არსების დაპატრონება უნდაო, გადასწყვიტა თავის გულში: რაც უნდა თქვას, მე თითქო

არც-კი გამიგონია, არ მივაქცევ ყურადღებასო. მეორე კიდევ, ლევანტიე აჯავრებდა ძლიერ დაცინვეთ თინს. ხან ტრაბახობაში დაიჭერდა ეშმაკი ბავში თავმოყვარე თინათინს, მაგალითად, როცა თინათინ იტყობდა: „ესე ქვია, თითი სიგძე ბალანაი ვიყავი, რომ მომიყვანესო“, ლევანტიე საჩქაროდ სტყობდა: „ახლა-კი ანძის სიმალლე ხარ, აბა!“ ხან, როცა შეამჩნევდა, თინათინ პირზე ხელებს იფარებს, სხვამ არ დამინახოს, რომ კბილები მაკლიაო, იტყობდა: „შეხედეთ, ბიკოლია ტყუილს კი არ ჩივა პაწა ხნის ვარო, ესე ბალანაია, რომ კბილებს ახლა იცვლის“. თინათინ წამოწითლდებოდა ამ სიტყვებზე და იტყობდა:—შერცხვენილო, ცხენმა თავი მარტყა და იმან მიქნა. ცხონებული ნენაი ცხენზე ჯდებოდა, მივჩინა ჩლივი პაწა ბალანაი, გააქანა ცხენმა თავი, მკრა და აი წინა კბილები სულ მომარყია. აქამდი რავარცხა ქე დამაგრდა და ახლა აგია, ქე მოცივა ძირს, წამალი რომ მექნა, ერთიც არ დამაკლდებოდა, მარა ჩემი თავიზა ვერაფერი გავიმეტე მე უბედურმა!—გამიართლებდა თინათინ თავს. თინათინს სიმოხუცისგან თვალეები ძლიერ დასუსტებული ჰქონდა და ნემსში ძაფს ვერ გაუყრიდა. ამის გამოც ხომ დიდი ამბავი ჰქონდათ ლევანტის და თინათინს.

— ასეა ყოველთვის, ვინც ძალიან პაწა ხნის არის, იგი ნემსში ძაფს ვეღარ გაუყრის,—ეტყობდა ლევანტიე თინათინს, როცა ეს უკანასკნელი ერთხანს თითონ იცოდილებდა იქნება გაუყარო ნევისის ყურწში ძაფიო და შემდეგ, რა ვეღარ შეიძლებდა, ასმათის, ან მის გაზდილ სამსონას მოიშველებდა.

— რაა, შენი ჭკუით, მე ვითამ მოვხუცდი და იმიზა ვერ ვუყრი ძაფს? შენ აბდალავე, ქარი მეჩოვა თვალში და იმის ბრალია, თვარა, აგერ დედა შენი, ჩემი უფროსი რძალია, შევილათ შეგეფერები, იგი თუ კი უყრის ძაფს, მე რაღამ დამაბერა ასე! დასაქცევი ერთი ჯაჯიკა მესენაკესთან რომ ვერ წავედი და ვერ შევალოცვიე! სამჯელ რომ შემელოცვებია, მომიჩიებოდა, მარა ოჯახს ვერ მოვსცილდი.—ეტყობდა თინათინ ლევანტის.

— ბაბა, წადი შენ ერთი ჯაჯიკასთან, წვერზე შევლოცვიე და თეთრი რომ გაქ, გაგიშავდება.—ეტყობდა მამის ხუმრობით ლევანტიე.

— სულ უკულმა უნდა ილაპარაკო, შენ უბედურო! გაჯავრებით ეტყობა თინათინ და შეაქცევდა ზურგს.

— ამ ბიჭმა ნამეტარი შემადულა თავი. ჩვენობაში ათასჯელ გუულანძლივარ, მარა აფერი მითქვამს, ახლა მომადგა ახალ მოყვანილთან და რას არ მემასხრება, ვინ მოთვლის! ესე აჩვენა ჩემი თავი, ვითამ სამოცი წლის ვიყო! ჩვენთან რაც უნდა იგი თქვას და სხვის შევილთან ამას რაღა უზამს კაცი! ესე გამომარცხვინა, რომ ქალობაში ფეხი აღარ მიდგია!—თქვა ერთ დღეს თავის მაზლთან და გაზდილთან საჩივარი ლევანტიაზე თინათინმა.

მამამ და უფროსმა ძმამ დაუწყეს ტუქსვა და წყრომა ლევანტიას—რაღა უბედავ შენს უფროსს მასხრობასო და მერე კიდევ სხვის შევილთან იმასთან აგებს რაღა არცხვენო. ამისთანა ტუქსვა ლევანტიას ბევრი შეხვედრია თინათინის გამო, ბევრჯელ უცემიათ კიდევ მისთვის მამას და ძმას, მაგრამ აგერ ერთი ორი წელიწადი იყო, რაც აღარ უშინდებოდა ის მამის და ძმის წყრომა-მუქარას. ბოლოს და ბოლოს ვერც ცემას უბედავდენ უკანასკნელები, რად-



განაც ლევანტიამ თავის დაფარვას მიმართა და ცემის დროს ბევრჯერ დანით კინალამ შიგანი არ დააყრევინა ძმას.

— რას ვუშავებ მე ბიკოლას? მე ჩემთვის რაცხას ვხუმრობ, მას რა უნდა? თუ არ ესიამოვნება ჩემი ხუმრობა, ნუ უყურებს, — უბასუხა ლევანტიმ მამას და ძმას.

— შენ ბრიყვო, სხვის შვილთან რომ დუღუღემებ სამოცი წლის ხარ, ასე ხარ, ისე ხარო, ეწყინება აბა რაა! — უთხრა ძმამ წყრომით ლევანტის.

— სხვის შვილი და მტერი თუა, რეიზა შეიერთე? — ჰკითხა ლევანტიმ ძმას.

— აბდალავე, აგი არ იცი, ცოლი მტერია ქმარის და ქმარის ოჯახის! ათასი მინც კი გამიგონია, ცოლმა რომ უღალატა ქმარს. — მასწავლებლის კილოთი უთხრა თინათინმა ლევანტის.

— ათასი და მეტი არა, — დაემოწმა სამსონა.

— ამან ჯერ რა იცის, ბალანაია, აბდალაი. — თქვა თინათინმა.

— ნენაიც ცოლი იყო ბაბაის, შენც ბიძივის ცოლი იყავი, მტერი იყავით ქმრების და ოჯახის? — ჰკითხა თინათინს ლევანტიმ.

— ყველა ქალი ერთი არაა. — უთხრა თინათინმა ლევანტის და მერე თავისთვის — მე რომ ვიყავი, იმისთანაი ორი არაა ქვეყანაზე, ცის კიდემდეა ჩემი ქება მისული, ვენფხის ტყავშია ჩაწერილი ჩემი სახელი.

— ნენაი რომ იყო, ნენაი სხვაა, შენ ბრიყვო! იგი და ნენაი ერთია! იგი, რომ მიმახელოს, დანით დამკლავს და სხვას წახობა. პაწაი უქნია ამისთანაი ცოლს ქმარისა! — დაემოწმა მეორეჯერ სამსონა გამზდელს.

— თქვენ რომ ჰკვიანად ლაპარაკობთ კი კმარა იგი! — უთხრა ლევანტიმ თინათინს და სამსონას და განშორდა.

ლევანტიას რომ შეხედავდი სახეზე, გეგონებოდა ერთი ავადმყოფი, ბოროტი ბავშვი არისო. ის იყო დაბალი ტანის, ბეჭებში საკმაოდ განიერი, შავგვრემანი, მოყვითლო კანი, თითქო დაწებებული აქვს ზედა, ისე ჰქონდა დაკრული პირი სახის ძვლებზე. პატარ-პატარა, შავი, მიბნედილი თვალები, სწორი, მაგრამ ჩამომახვილებული ცხვირი, მსხვილი ნიკაბი და მუდამ გესლიანად მომღიმარე თხელი, მოლურჯო ტუჩები, რომლიდანაც სიცილის ან ლაპარაკის დროს მოჩანდნენ თოვლივით თეთრი, სწორი კბილები, რალაც ეშხითაც გწვავდნენ, მაგრამ თან იქვიც გებადებოდა — ეს ბავში დაუნდობელი რამ უნდა იყოსო. ლევანტიზე ორსულობის დროს ანნა სულ ავადმყოფობდა. ლოგინობაზედაც მუდამ ავად იყო. ამიტომ ეგონათ ბავში ავადმყოფი იქნებოა, მაგრამ ლევანტიეი აგერ ჩვიდმეტი წლის კაცი შეიქნა და ჯერ თავიც არ წამოსტკენია. დედას განსხვავებით უყვარდა ის. ლევანტისაც თავის მხრივ მეტად უყვარდა დედა. საზოგადოდ ლევანტის მოყვარული გული ჰქონდა და თუ ბევრს ბოროტი ეგონა, ეს იმიტომ, რომ როცა ადამიანს ზნეობრივ სიმახინჯეს შეამჩნევდა, დაუწყებდა მწარე და ცინვას. ხშირად დაფიქრებაც იცოდა ლევანტიმ. მეტადრე სამ წელს სოფლის სკოლაში ყოფნამ დიდი გავლენა იქონია ლევანტიზე. შემთხვევით იმ სკოლაში, რომელშია ლევანტიეი სწავლობდა, კარგი მასწავლებელი მოხვედროდა. ლევანტიამ სკოლაში ყოფნის დროს კარგათ

ისწავლა ქართული კითხვა, წერითაც საკმაოდ კარგად სწერდა ქართულად. წიგნების კითხვით თუ მასწავლებლის ლაპარაკით ლევანტი მიეჩვია მსჯელობას და ფიქრებს და აი ახლაც ბიკოლას და ძმის ნალაპარაკებმა „ცოლის“ შესახებ ის დააფიქრა. „არა, აგი რაა იქნება, რომ ქალმა იმიზა წახვეს ქმარს, რომ დანით დავკლავ და მერე სხვაზე გავთხოვდებო! აგი რა ბრიყვული საზრია! ამისთანა ავი სული რომ იყოს ქალები... იმდონ გასათხოვარ ქალებს ვიცნობ, მარა ყველაი კაი გულის არის. მტერიაო! მტრულა თუ მიექცეცი, მაშინ, რასაკვირალია, იგიც მტერად გაგიხდება. ჩემი ძმაი რომ თავის ცოლს ეპყრობა, მე რომ იგი ქალი ვიყო, ერთ დღესაც არ მევიციდიდი მასთან. უბრალებს თვალებს, უჭეხავს წარბებს, ტუქსავს, ემუქრება, ვითამ და ასე უნდა ცოლს ქმრიდანა... გასაკვირალი იქნება ახლა ჩემი ძმაი რომ ცოლმა შეიძულოს!“ — ასე ებასებოდა ლევანტიეი თავის თავს.

თინათინმა განაგრძო მეღანაის განვითარება: აბა, ქალო, მიდი ჰკითხე შენ ქმარს, რა ნაირი ვაკეთებული გიამება დღეს სადილი თქვა, ნიგვზით გავაკეთოთ ქათამი, თუ ზეთითა თქვა.

— ამას რა კითხვა უნდა, მარტო დღეს ხომ არ დუღუყია ქამა, რავარც აქამდი ვაკეთებდით, ესე ვაკეთოთ. მიუგო მეღანამ.

— კი, მარა შენგან რიგია ესე, ქმარის უნდა გეშინოდეს, გეშინოდეს, რომე! წარბში უნდა უზხერდე — რა იამება და რა არაო. ქმარი ღმერთია ქალის.

თითონ თინათინ კი არ იყო არც ასეთი ერთგული თავის ქმარისა და არც მონა, წინააღმდეგ, ქმარი მუდამ ხელში ეჭირა. მაგრამ ახლა ზნეობრივ ვალად სთვლიდა ესწავლებინა თავის გაზდილის ცოლისათვის, თუ რაში მდგომარეობდა ცოლის მოვალეობა ქმრისადმი. თინათინ ასწავლიდა სწორედ ისე, როგორც ესმოდათ ეს მოვალეობა საზოგადოთ იმ სოფელში, ესე იგი, ცოლს მუდამ უნდა ეშინოდეს ქმრის, მუდამ წარბებში უნდა უყურებდეს ქმარს — რით ვასიამო და სხვა. მართალია, საზოგადო ჩვეულებაზე თინათინ ბევრს აჭარბებდა, მაგრამ ეგ თავის გაზდილის ხათრით მოსდიოდა. თინათინ ისე გაიტაცა მეღანაის განვითარების საქმემ, რომ ოჯახში მას, მის გაზდილს და მეღანაის გარდა თუ სხვებიც იყვენ, თითქო აღარ ახსოვდა.

VII.

მოაწია მეორე შაბათი მეღანაის და სამსონას ჯვარის დაწერიდან. ესიკა წაბლაძე და მისი ვაჟები, რომლებიც საზამთრო შეშაზე მუშაობდნენ, სამხრობის ჟამს დაბრუნდნენ შინ. ეს იმიტომ, რომ შაბათს სამხრობის შემდეგი დრო, ამათი ფიქრით, „უქმის ძალს“ ეკუთვნოდა. თუმცა-ღა შემოდგომა ილეოდა, მაგრამ მინც კი მშვენიერი ღამეები იდგა და ამიტომ ესიკას ოჯახობა, ჯერ, სანამ დღის სინათლე არ გამქრალიყო, სახლის ბალკონზე იჯდა. ესიკა თავისებურად ჩიბუხს აბოლებდა, მისი ვაჟი, სამსონა, გაჩუმებული იჯდა და მზისაგან გატრუსული ვაჟაკური სახე დინჯად ეჭირა. სამსონას გვერდით იჯდა მისი გამზრდელი თინათინ, მაგრამ ხმას არ იღებდა. სხვა დროს თინათინის სიჩუმე მთელი ოჯახისთვის მომავალ უსიამოვნების ნიშანი იყო, ეს ყველას ჰქონდა შემჩნეული, მაგრამ ახლა კი თინათინის სიჩუმე რალაც შეუმჩნევლად დარჩენილი



იყო ყველასთვის. ლევანტი დედასთან იჯდა, უკრავდა ჩონგურს და დამღეროდა ზედ:

„დედაბერი ვარ ხნისა,
ათხმადედათა წლისა,
გულა ვარ გატედა, თხერი,
მაძებარი ვარ ქმრისა“.

—
„ათხმადე წლის ბუბია,
გულად გათხმადედა“...

და სხვა ამისთანებს.

მელანია და მისი მული ასმათ-კი ამ დროს პატარა სამზარეულო სახლში იყვნენ და ვახშამს ამზადებდნენ. იმ დღემდე თინათინ ვახშამის გაკეთების დროს მულამ ამასთან იყო, რომ ესწავლებინა: „ეს ასე ქენითო“ და სხვა. მართალია, თავის ხელით საქმის გაკეთება თინათინს არას დროს არ უყვარდა და ასმათი რომ გაზარდა, ხომ რა, სულ გაითავისუფლა თავი საქმისაგან, მაგრამ საქმის გაკვლევა-გამოკვლევაში დიდ კმაყოფილებას პოულობდა, მაგრამ ეს ორი დღე იყო, თინათინმა რაღაც აიღო ხელი გაკვლევა-გამოკვლევიდან.

როცა ლევანტიეი სიმებზე ხელს ჩამოკრავდა და მღერას დაიწყებდა, იფიქრებდით, ეს კაცი ჩემ თვალ-წინ გამოიცივალა, შეუღარებელ მშვენიერ ადამიანად გადაიქცაო. ლევანტიეი მღერის დროს გადაიწვედა უკან გიშერივით შავ ხუჭუჭ თმას, რომელიც თითქო ბუნებას გვირგვინად დაედგა ამ მომღერლისათვის, გაიმართებოდა ტანში და სახე გაბრწყინებული ისეთი ტკბილი, მკაფიო ხმით შამოსძახებდა, ისეთ ნაირათ ააკვნესებდა ჩანგურის სიმებს, რომ, რაც უნდა ჯავრით მოშხამული გქონოდათ გული, მაინც კი ყურს დაუგდებდით და დაივიწყებდით თავის დარღს, მაგრამ თინათინს კი არ მოსწონდა ლევანტიეის ჩანგური და სიმღერა. „ამ ბიჭმა ცოდნით ყველა კილო იცის, მარა ისე უგემურათ უკრავს და მღერის, რომ გული შეგიზარდება“. — ამბობდა თინათინ ლევანტიაზე.

(დასასრული იქნება)

გიორგის „ტაუსტიდან“ ნაწყვეტები.
ტეე და მღვამე.
ფაუსტი მარტო.

მღერო სულო! შენ მომეცი, მომეც მე ყველა, რასაც-კი შენგან ვთხოულობდი; შენი ცეცხლებრი პირისა სახე შენ მაჩვენე არა უბრალოდ; შენ მომეცი მე საკვირველი ესე ბუნება, მომეცი ძალი მის საგრძობლად, მით დასატკობლად. მე გულ-ცივად არ შევყურებ მის უმაღლესთა საიდუმლოთა; შენ მომეცი ნება-უფლება, რომ ჩამეხედნა—ვით მეგობრის—მის წმინდა გულში; ცოცხალ ქმნილებათ შენთა რიგი წინ გამიტარე, შენ ჩამაგონე, რომ მე ძმად და მახლობლად მეცნო წყალნი მდინარნი, ჰაერიცა, თვით მყუდრო ქალაც. ჟამს დიდი ქლექის, როს ზანზარით მსცოვანი მუხა იქცევა, თანაც ხეებს ამტვრევს თვისს გარეშემო და მის საზარო წაქცევასა ყრუ მოთქმის ხმითა ქალარა აძლევს ფრიალო ბანს, შენ მომიყვანე განცალკევებულს ამა მღვიმეს. შენ ცხად ჰყავ ჩემთვის

ჩემივე სულის იდუმალნი—ღრმა სასწაულნი. და როცა მთვარე, ეს მშვიდობის მახარობელი, ჩემს ზევით ცაში გაბრწყინდება, მაშინ ჩემთანა მოფრინდებიან წარსულ დროთა ვერცხლის აჩრდილნი ძველის კლდით და მკაცრს მიფონებენ შემქმნეტელობას. ვგრძობ, აქ სრულ ყოფა კაცისათვის არ შეიძლება! იმ წმინდ გრძობასთან, რასაც ცამდის ავეყვარ, მომე შენ თანამგზავრი; კუშტი, ცივი საჭირო არის იგი ჩემთვისა, თუმც მამდაბლებს მევე ჩემს თვალში; შენს მოცემულს ნიქს დაცინვითა ჰხდის არარადა. გულში უსაზღვრო სიყვარული აღმიგზნო იმან ტურფა-უბიწო ქმნილებისადმი; მსწრაფლად სურვილსა სიამოვნების განცხრომაში ვიკლავ და ვაქრობ, სიამოვნების შემდეგ ისევ სურვილით ვიწვი.

დ. ნახუცრიშვილი.

ისტორიული მეცნიერებიდან.

(შემდეგი. იხ. № 11).

მარქსიზმის კრიტიკასებს დღემდე თითქმის ყველას ერთი ახირებული საქმე მოსდით: მარქსისა და ენგელსის ნამდვილს შეცდომებს ვერც ერთი მათგანი ვერ ამჩნევს, მაგრამ ნაცვლათ ისეთ შეცდომებს აწერენ მათ, რაც არასოდეს არ ჩაუდენიათ.

მაგრამ შეცდომაცა და შეცდომაც. რასაკვირველია, კარგია, როცა ამა თუ იმ თეორიის მომგონნი იცნობენ ყველა თავის წინა-მოაზრებებს და არა სცდებიან მათზე მსჯელობაში. მაგრამ ვერავინ ვერ ჩაუთვლის დიდ დანაშაულობად დარვინს იმ შეცდომას, რომელიც შეიძლება მოუვიდეს მას მსჯელობაში, შესახებ იმისა, თუ რა ადგილი უჭირავს ევოლიუციის მოძღვრების ისტორიაში მის საკუთარ თეორიას. მაგრამ ვინმემ რომ დარვინიზმის კრიტიკა იკისროს, და განსაკუთრებით, მოინდომოს ტრანსფორმაციის ისტორიის დაწერა, მისთვის აუცილებელია იცნობდეს დარვინის წინამორბედთ, ასეთს შემთხვევაში უცნაური იქნება, ამათ შესახებ მან განიმეოროს მხოლოდ ის, რაც მათზე თვით დარვინს უთქვამს.

ეგვე შეიძლება ვთქვათ მარქსიზმის კრიტიკასებზე. მათს კალამს სრულებით არ მიეტყვება ის შეცდომანი „დოგმათა ისტორიაში“, რაც სრული გასაგებია და ადვილად მიეტყვება მარქსისა და ენგელსის კალამს. მაგრამ თავი ვანებოთ ჯერ-ჯერობით კრიტიკასებს და მივუბრუნდეთ წინამორბედთ. რესტავრაციის დროს არა ერთი ქარიშხალი გამოვლო ბურჟუაზიამ. მაგრამ იმ ხანებში არისტოკრატიაზე საუცხოო გამარჯვებებით წახალისებულს ბურჟუაზიას სწამდა, რომ არ არსებობს მისი ბატონობის დამცემი ძალა და მხნეთ გასცქეროდა მომავალს; მისთვის სასიამოვნო იყო „ხომალდზე ყოფნა ქარიშხალში“, როცა იცი, რომ არ დაიღუპები“. მას არ ეშინოდა მაშინ კლასიურ ბრძოლაზე ლაპარაკი და ეშმაკურათ უარს ჰყოფდა თავის საკუთარ კლასის ისტორიულ ბრძოლის დაიწყებას გადაშენებულ არისტოკრატის საამებლათ. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება. არ გაუვლია 20—30 წელსაც, რომ ბურჟუაზია იძულებული გახდა სულ სხვა მხრით შეეხედა კლასიურ ბრძოლისათვის. მუშათა კლასმა—ამ გარეშე მცხოვრებმა, როგორც გიზო ეძახდა მას—იწყო.



ბურჟუაზიის უპირატესობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამის გამო ძირეულათ შეიცვალა ბურჟუაზიის გუნება: ის გახდა კონსერვატორული. 1848 წელი საზარელი გაკვეთილი იყო ბურჟუაზიისათვის. თუ რა კარგათ შეიგნო მან ეს გაკვეთილი, იქიდან სჩანს, რომ ამ დროდან მისი თეორეტიკოსები ქადაგებენ „სოციალურ მშვიდობას“.

გიზომ, რომელიც მუდამ ყურადღებით და გრძობით ეკიდებოდა „საშუალო კლასის“ მდგომარეობასა და ვაჭირვებას, 1849 წლის იანვარში უკვე შემდეგი ბროშიურა გამოსცა: „De la Democratie“, სადაც ის უგალობს სოციალურ მშვიდობას, რომელიც იძლევა „თავისუფლებას, მშვიდობიანობას, კეთილ-დღეობას, ღირსებას და ყოველგვარ „ნივთიერსა და სულიერ სიკეთეს“. გიზოს 1849 წელშიაც კარგათ ახსოვდა, რომ სოციალურმა ომმა „შეჰქმნა“ საფრანგეთის ისტორია; მაგრამ ახლა-კი, მისი აზრით, ეს ომი პროგრესის მომასწავებელი-კი არ არის, არამედ რაღაც პანდორის ყუთია, საიდანაც საზარელი უბედურება ეფრქვევა მის ქვეყანას. „ჩვენი საზოგადოების სხვა-და-სხვა კლასთა შორის ბრძოლა ავსებს ჩვენს ისტორიას, იმეორებს ის. მისი ყველაზე უფრო საზოგადო და ყველაზე ძლიერი გამომეტყველება იყო 1789 წ. რევოლუცია. თავად-აზნაურობა და მესამე წოდება, არისტოკრატია და დემოკრატია, ბურჟუაზია და მუშები, მესაკუთრენი და პროლეტარები,—ყველა ეგენი მხოლოდ სოციალური ბრძოლის სხვა-და-სხვა ფორმები და სხვა-და-სხვა საფეხურებია იმ სოციალური ბრძოლის, რომლის გამოც ჩვენ ამდენ ხანს ვიტანჯებით... ეს უბედურებაა, ეს სირცხვილია, რაც ჩვენს დროს სრულებით არ შეჰფერის. მშვიდობა შინაობაში, მშვიდობა მოქალაქეთა სხვა-და-სხვა კლასთა შორის, სოციალური მშვიდობა! ეს არის საფრანგეთის ყველაზე უდიადესი მოთხოვნა, ეს არის ჩვენი მხსნელი!“¹²).

1789 წლის შემდეგ საშუალო კლასთა უაღრესობა საფრანგეთის ისტორიის დამახასიათებელი თვისებაა. იხსენიებს რა ამას, გიზო მთელს პანეგირიკს (უზომო ქება ხსენებას) უძღვნის ბურჟუაზიას. მაგრამ ამასთან ნათლათ ხედავს, რომ მის ბატონობას საშიში განსაცდელი მოელოდა. „ახლა ასპარეზზე ახალი მებრძოლი გამოვიდა. დემოკრატიული ელემენტი დაიყო. საშუალო კლასთა წინააღმდეგ გამოდის მუშათა კლასი, ბურჟუაზიის წინააღმდეგ—პროლეტარიატი. ეს ახალი ომი სიკვდილ-სიცოცხლისაა, რადგან ახალი პრეტენდენტიც ასეთივე განსაკუთრებით რამაა, როგორც ყველა სხვა“¹³). „პროლეტარიატი დაღუპვას უქადის „საშუალო კლასთა“ ბატონობას“. „საშუალო კლასებს“ ეშინიათ პროლეტარიატის და ამიტომ მისი თეორეტიკოსები ქადაგებენ მშვიდობას. მაგრამ მტკიცე მშვიდობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა პროლეტარიატი არ ჩაეცილება ბურჟუაზიას არსებობის უფლებებზე. გიზოს ეს მშვენივრათ ესმის. ის ახლა ამტკიცებს, რომ საფრანგეთში არსებული ყველა კლასები საფრანგეთის საზოგადოების ბუნებრივსა და ღრმა ელემენტებს შეადგენენ“¹⁴). იგივე ამტკიცებს, რომ ყველა მებრძოლ მხარეების მიერ ამ აზრის სამართლიან აზრათ

ალიარება დიდი წინ წადგმული ბიჯი იქნება სოციალურ მშვიდობიანობისაკენ.

მარტო გიზო არ ყოფილა სოციალურ მშვიდობიანობის მქადაგებელი, მარტო მას არ შეუცვლია თავისი წინანდელი შეხედულება, რაც ასპარეზზე „ახალი მებრძოლი“ გამოვიდა. ჩვენ ვიცით უკვე, თუ როგორ უყურებდა მინიე პარიეის კომიუნის „უწესრიგობას“. რაიცა შეეხება ოგ. ტიერის, მის დასახასიათებლათ საქმაოა მისი 1853 წელს გამოცემულ „Essais sur l'histoire qu Jiers-Etot-ის წინასიტყვაობა. მესამე წოდების ისტორია ეს მესამე კლასის არისტოკრატიათა სოციალურ ომის ისტორიაა. როგორც ვიცით, ოგ. ტიერი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მიუთითა მკითხველ საზოგადოებას ამ ომის კლასიურ ხასიათზე. ამ ხასიათის უარისყოფა ნიშნავს მესამე წოდების ისტორიის მთელი მნიშვნელობის უარის ყოფას. მაგრამ მეორე მხრით 1853 წელს ტიერი უკვე ვეღარ ლაპარაკობს კლასიურ ბრძოლაზე ისე, რომ შენიშვნები არ გაუკეთოს. და აი ისიც გვიხსნის. ის შენიშვნას იძლევა, რომ კლასიურ ბრძოლას, რომელიც მისი წიგნის საგანს შეადგენს, არაფერი საერთო არაა აქვს პროლეტარიატის ბურჟუაზიის წინააღმდეგ კლასიურ ბრძოლასთან. მის მიერ აწერილი ბრძოლა კეთილ-ნაყოფიერი იყო და მთელ საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა, ხოლო პროლეტარიატის ბურჟუაზიასთან ბრძოლა „მხოლოდ გუშინ დაიწყო და სრულიად არღვევს საზოგადოებრივ უშიშროებას“. პროლეტარიატის კლასიური ინტერესი მას ვაჭრით მიაჩნია, ხოლო მესამე წოდების კლასიური ინტერესი-კი ძალიან ფაქტით, რადგან მესამე წოდებას შეადგენდა მთელი ერი, გარდა თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდებისა.

მაგრამ რესტავრაციის დროის საფრანგეთის ისტორიკოსებს ისე ძლიერათ სწამდათ კლასიური ბრძოლის ისტორიული დიადი მნიშვნელობა, რომ, როცა-კი პროლეტარიატის მოძრაობის შიში გადაუფლიდათ, წინანდებურადვე იწყებდნენ მსჯელობას. მაგალითისათვის მოვიყვანთ ისევ გიზოს. 1858 წ. მან გამოსცა თავისი „მოგონებანი“, რომლის პირველ ტომში ლაპარაკია სახელდობ იმ დროზე, როცა ის ყმაწვილურის ცხარე ენტუზიაზმით ჰქადაგებდა მესამე წოდების არისტოკრატიათა ბრძოლას. იგონებს-რა თავის წიგნაკს „Du gouvernement de la France“-ს, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, ამ გვარ ბრძოლის ცხარე მოწოდებებს შეიცავს, გიზო აღიარებს, რომ ამ წიგნაკის 36 წლის უკან წაკითხვით მან შემდეგი შთაბეჭდილება გამოიტანა: „საგანთა არსებითად აწონ-დაწონვის შემდეგ, როგორც ისტორიკოსი და როგორც ფილოსოფოსი, ჩემს წიგნაკში არაფერს ისეთს არ ვხედავ, რაც უკან წასაღები იყოს. მე ისევ-ისე მჯერა, რომ იქ გატარებული ზოგადი აზრები სამართლიანია, დიდებული სოციალური ფაქტები მართლათ არის დაფასებული, პოლიტიკური მოღვაწენი კარგათ გაგებული და დასურათებული... მაგრამ... მეტათ ბევრს ვთხოულობდი ადამიანებისაგან“.

მეცნიერულმა კეთილ-სინიღისიერობამ სძლია შიშს „ახალ მებრძოლის“ წინაშე და ბურჟუაზიის მხცოვან თეორეტიკოსს საფრანგეთის სირცხვილათ და უბედურებათ აღარ მიაჩნია კლასიური ბრძოლა. ის ამტკიცებს,

¹²) De la Democratie, Paris 1849, p. 35.

¹³) ibid., p. 107.

¹⁴) ibid., p. 105.

რომ „Du gouvernement“-ში სოციალური ფაქტები სი-სწორითაა დაფასებული, ეს-კი ნიშნავს, რომ სოციალურ ომმა—კლასთა ბრძოლამ—შექქმნა საფრანგეთის ისტორია...

მარქსისა და ენგელსის აზრი კლასთა ბრძოლაზე, პოლიტიკის მნიშვნელობაზე ამ ბრძოლაში და სახელმწიფო მმართველობის გაბატონებულ კლასების დამოკიდებულებაზე სრულიად ეთანხმება გიზოსა და მის თანამოაზრეთა აზრს ამავე საგანზე. მთელი განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთნი იცავენ გარეშე მცხოვრებთა ინტერესებს, ხოლო მეორენი—ბურჟუაზიის ინტერესებს. აღგილ-ადგილ მანიფესტი გიზოს პამფლეტის ერთ ლაპარაკობს, ანუ, გინდ, გიზოს ზოგი პამფლეტები რამდენადმე ლაპარაკობენ მანიფესტის ერთ¹⁵⁾.

მაგრამ მანიფესტის ავტორთათვის კლასთა ბრძოლა მწყობრი ისტორიული თეორიის ერთი შემადგენელი ნაწილია, როცა რომ გიზოს, ტიერის, მინიეს და სხვა თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგთ ისტორიულ თეორიაში ჯერ კიდევ თავი და ბოლო ერთმანერთთან ვერ მოუწყვიათ. სწორედ ეს არის მარქსისა და ენგელსის „სოციალურ ფილოსოფიის“ დიადი უპირატესობა.

ქვევით ჩვენ დაწვრილებით გავარჩევთ ამ უადრესობას. მაგრამ ჯერ საჭიროა კრიტიკაში გავატაროთ მარქსიზმის ზოგ კრიტიკოსთა ზოგიერთი „კრიტიკული“ შენიშვნები.

Un ami.

მეყნიერება და მეყნიერები.

წერილი პირველი (დასასრული.—იხ. № 10).

ახლა თუ საფრანგეთიდან გადავალთ ბელგიაში—აქ სულ სხვა პირობები გვხვდება; ვანდერველდი სხვა საზომს გვაძლევს ბელგიის პატარა, საშუალო და დიდ საკუთრებათათვის; ეს საზომი განსხვავდება როგორც ფოვილოს, აგრეთვე სუშონის საზომთაგან. მაგრამ ვანდერველდი ჯერ გვიხსნის, რა დიდი განსხვავებაა თვით ბელგიის სხვა-და-სხვა კუთხეებში ამ საზომთა შორის. აი მისი სიტყვები: „თავის თავათ ცხადია, რომ სივრცე ამ სხვა-და-სხვა კატეგორების განიჩევა ერთიმეორისაგან თანახმად მიწის ნიადაგისა, ჰაერისა, წარმოების წესისა და სხვა მრავალგვარ ფაქტორებისა, რომელთაც გავლენა აქვთ მიწის საკუთრებაზე... პატარა ბრანში, მაგ., სადაც მრეწველობაა გაძლიერებული, სახელმწიფოს აგრონომები შემდეგ კლასიფიკაციას იძლევიან:

დიდი წარმოება	შეიცავს	15—25 ჰექტარ მიწას
საშუალო წარმოება	—	5—14 — —
პატარა წარმოება	—	1—5 — —

აქვე ვანდერველდს მოჰყავს აზრი იმათი, ვინც სპეციალურათ გამოიკვლია ეს კუთხე. აი ეს აზრიც: „თუკი

15) მაგალითისთვის მოვავლინებ ზემოთ მოყვანილ პწკართ გიზოს წიგნიდან დემოკრატიაზე, 1849 წელს დაწერილზე: „სხვა-და-სხვა კლასთა ბრძოლა ავსებს მთელს ჩვენს ისტორიას... თავდა-აზნაურობა და მესამე წოდება, არისტოკრატია და დემოკრატია, ბურჟუაზია და მუშები ყველა ეგენი სოციალურ ბრძოლის მხოლოდ სხვა-და-სხვა ფორმები და სხვა-და-სხვა საფეხურებია“... ეს თითქმის ისაა სიტყვა-სიტყვით, რაც მანიფესტის პირველ თავის დასაწყისშია.

განსაკუთრებით გარემოებებს არ მივიღებთ მხედველობაში და ავიღებთ მარტო ნორმალურ ოჯახს, რომელიც შესდგება მამის, დედის, ორი მოზარდი და ორი თუ სამი პატარა ბავშვისაგან, დაინახავთ, რომ აი ასეთ ოჯახს მთელ წელიწალს ეყოფა სამუშაოთ ერთი ფერმა, სივრცით 3-4 ჰექტარი. ასეთი ფერმა ამ ოჯახს დაარჩენს, მაგრამ დიდ კეთილ-დღეობას-კი ვერ მიანიჭებს“¹⁾.

ვანდერველდს²⁾ მოჰყავს მეორე მაგალითი: „არდენის მაღლობებზე, სადაც, წინააღმდეგ ბრანისა, ექსტენსიური კულტურა არის, აგრონომები ასეთ კლასიფიკაციას იძლევიან:

პატარა წარმოება	3—30 ჰექტარი
საშუალო წარმოება	30—60 —
დიდი წარმოება	60 და მეტ ³⁾ “.

ამ სხვა-და-სხვაობიდან შეიძლება გამოვიყვანოთ დაახლოვებით ერთი საშუალო საზომი მთელი ბელგიისათვის. აი ეს საზომი:

დიდი წარმოება	შეიცავს	50 და მეტ ჰექტარს
საშუალო	—	10—50 —
პატარა	—	2—10 —
ძლიერ პატარა	—	0—2 —

ახლა მკითხველმა იცის, თუ როგორს საკუთრებას ეძახიან ბელგიაში პატარას, მკითხველმა იცის, თუ რამდენი დესეტინაა საცხოვრებლად საჭირო ბელგიელ გლეხისათვის, თუ რამდენი დესეტინაა მისთვის საჭირო, რომ მისი ოჯახის წევრნი არ გახდნენ იძულებულნი დასტოვონ ოჯახი და წავიდნენ მუშად; თუ რამდენი დესეტინაა საჭირო გლეხისათვის, რომ თანდათან გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა, რამ ან ჩამოაჩქეს კულტურის საერთო მსვლელობას: მოგვხსენებთ, რა მოვლის იმას, ვინც ვერ მიდის ისეთი სისწრაფით, როგორც მოითხოვს საზოგადოების განვითარება... ბელგიაში მუუწუნე გლეხისთვის, რათა შუა, საჭინაო ანა ნაკლები სხვა ჰექტარისა.

მაშ, მკითხველო, ნება მიბოძე წარმოგიდგინო სტატისტიკური ცნობები, რომელიც გაგითვალისწინებს გლეხის ბედ-ილბალს ბელგიაში. ეგ ციფრები ფრიად საგულისხმო და სამწუხარო მოვლენას აღნიშნავენ.

ბ. მარველს „ივერის“ 247 №-ში მოჰყავს შემდეგი ციფრები, რომლითაც ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ბელგია წვრილ მემამულეთა ქვეყანაა“. ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რამდენად შემცდარი შეხედულობა აქვს მას პატარა და დიდ საკუთრებაზე. აქ ჩვენ აღვნიშნავთ აგრეთვე, თუ როგორ უხეიროდ, არა მეცნიერულად ხმარობს სტატისტიკურ ცნობებს. აი მის მიერ მოყვანილი ციფრები:

	1880 წ.	მესაკუთრე
1 ჰექტ. ნაკლების პატრონი იყო		594,376
1-დან 5-მდე ჰექტარის პატრონი		226,088
5—10	—	48,390
10—20	—	25,893
20—50	—	12,186
50-ზე მეტის	—	3,403

ამ ციფრებიდან მხოლოდ ერთია ცხადი, რომ ბელგიაში ერთობ ბევრია მფლობელნი ისეთი პატარა ნაჭრე-

1) Monographie de la région agricole de la Campine, p. 44. Bruxelles, 1899.

2) La propriété etc. გვ. 279.



ბისა, რომელიც შედის მეოთხე კატეგორიაში, ე. ი. წარმოადგენს ისეთ საკუთრებას ან ნაქონაჯუბ მიწას, რომელსაც არ შეუძლია აწინას გლეხის ოჯახი და ამგვარი შესაკუთრე გინდ მიწის დაქონაჯუბი იგივე ზრდაეჭარაა. ამას და მხოლოდ ამ ფაქტს აღნიშნავს ბ. მარველის მიერ ზემოთ მოყვანილი ციფრები:

ა) 594,376 აქვს ერთ ჰექტარზე ნაკლები.

ბ) 226,088 აქვს ერთიდან ხუთ ჰექტარამდე.

ხოლო ამ 226,088-ში ბეღვასში შეუძნედ წოდებული ურუვია, ე. ი. ისეთნი, რომელთაც აქვთ ანა ნაკლები სხვა ჰექტანისა, მხოლოდ 53,731; მაშ

226,088

—53,731

172,357, რომელთაც აქვთ სხვა ჰექტარზე ნაკლები, ე. ი., რომელნიც არ ანა ნაკლები, როგორც ანა შეუძნედ ის 594,376, რომელთაც ერთ ჰექტარზე ნაკლები აქვთ. ამნაირად, 910,396 ბ. მარველის მიერ მეურნედ დასახელებულიდან უნდა გამოარიცხოს (594,376+172,357)=766.733.

910,396

766,733

143,663

როგორც ხედავთ, ბ. მარველის მიერ მეურნედ დასახელებულ 910,396-დან ნამდვილი მეურნე მხოლოდ 143,663-ა და 766,733-კი თავის ცხოვრების რეალურ პირობებით პროლეტარია, ან-და ზოგი მათგანი სადმე ვაქრობს ან ხელოსნობს. ეგ ერთი. მეორეც: ბ. მარველმა ეს 910,396 მონათლა შესაკუთრედ. ეს ციფრები აღნიშნავენ მხოლოდ, რამდენ ოჯახს რამდენი მიწა აქვს თავის მფლობელობაში და არა საკუთრებად. ამ რიცხვში შედის ქონის დასადგამად დაქირავებული მიწები და სხვ. როგორც ხედავთ, ბ. მარველი ახირებული სტატისტიკოსია! მესამე: ბ. მარველს მოჰყავს ციფრები (ისიც არეულად) მხოლოდ 1880 წლის შესახებ, ჩვენ-კი უფრო სრულად მოვიყვანთ ცნობებს 1880 და 1866 წლ. შესახებ, შევადარებთ და ნათლად დავინახავთ: მატულობს თუ კლებულობს ბეღვასში შესაკუთრე-შეუძნეთა რიცხვი:

	1866 წ.	1880 წ.
წარმოება 50 ჰექტ. და მეტის	5,527	(—) 3,403
„ 40 à 50 ჰექტარი	2,117	(+) 4,414
„ 30 à 40 „	3,982	(—) 3,023
„ 20 à 30 „	9,967	(—) 7,749
„ 10 à 20 „	30,996	(—) 25,983
„ 5 à 10 „	52,650	(—) 48,390
„ 4 à 5 „	22,165	(—) 21,408
„ 3 à 4 „	32,987	(—) 32,323
	160,391	—143,696

აქ ჩვენ, როგორც მკითხველი ხედავს, მოვიყვანეთ ერთის მხრით უფრო სისრულეთ იგივე ციფრები, რომელნიც აქვს თავის სტატიაში ბ. მარველს, მეორე მხრით მოვიყვანეთ შესადარებლათ შესაფერი ციფრები 1866 წ. აღწერილობიდან. რას გვიმტკიცებს ეს ციფრები? იმას, რომ შესაკუთრეთა და შეუძნეთა რიცხვი ბეღვასში კლებულობს; ეს მოვლენა-კი იმის მომასწავებელია, რის არ-არსებობის დამტკიცებას იმდენი ძალ-ღონე შეაღია ბ. მარველმა: აქ ნათლად ვხედავთ მიწის საკუთრებათა კონცენტრაციას. ერთი მიბრძანეთ, მკითხველო, როგორ დაინახა ბ. მარველმა

ამ ციფრებში „წრილ შეუძნე გლეხთა რიცხვის განუწევტლივი გამრავლება“?! დაუთმობთ სიტყვა თვით ბ. მარველს: „ღიალექტიკით აღჭურვილ, ე. ი. არა-მეცნიერ, სოფისტ „მსწავლულთა“ (სიტყვის უაზრო ბრახი-ბრუხი გამოდის, მაგრამ მე არ ვახლოვართ დამნაშავე)“) მოძღვრების წინააღმდეგ აშკარად ვხედავთ, რომ ბეღვასში მიწა-ადგილი თანდათან ქუცმაცდება, წვრილმანდება და საკუთრებათა ფანტასტიურ კონცენტრაციის მაგიერ მრავლდება წვრილ-მემამულეთა რიცხვი. სულ რაღაც 36 წლის განმავლობაში წვრილ მემამულეთა რიცხვი თითქმის გაორკეცდა. 1846 წელს ეს რიცხვი მხოლოდ 572,550-ს შეადგენდა, 1880 წელს კი იგი 910,396-მდე ავიდა“-ო. ეგ 910,396 თუ როგორაა შემდგარი—ჩვენ გამოვიკვლიეთ ზევით; ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ რიცხვიდან 820,464 აქვს 5 ჰექტარზე ნაკლები, ე. ი. იმდენი მიწა-ადგილი, რომელიც, თუ არ რთული და ძვირად ღირებულ მეთოდით³⁾, გლეხს ვერ მოუტანს იმდენ მოსავალს, რომ მან ოჯახიც არჩინოს და თავის მეურნეობაც განაკეთილოს, წინ წასწიოს... მერე ამ 820,464-დან 594,376 აქვს ერთ ჰექტარზე ნაკლები!.. ესენი უეჭველად, აშკარად, თუ ვაქრები არაა, ხომ პროლეტარიატი! ბ. მარველი-კი თამამად გაიძახის: ბეღვასში 910,396 მეურნეაო... ჰაი-და მეურნე, რომელსაც ერთი ჰექტარიც ანა აქვს!.. ბ. მარველი არ შედის ამაების განხილვაში: მას თავისი მიზანი აქვს... დ. თ.

(დასასრული იქნება)

შეურნალ-გამეტეებიდან.

„**ი**ვერის“ მე-59 ნომერში ბ. ვ. მარველმა დაბეჭდა ზატარას სანასუნო წრილი შესახებ „მინაურის“ წრილისა, რომელიც მოთავსებული იყო „გვალში“ გასულ წელს (№ 47). ბ. მარველის წრილი გვერდს უხვევს ეველს ჩვენს გაზეთში მოყვანილ საბუთებს, კარდა ერთისა (სიმდიდრის განაწილება ზრუსისში), რომელსაც ენება ის თავისებურათ, უსტატისტიკოთ და უმასალათ. თუ რანაირათ ეპერება ბ. მარველი სტატისტიკას და მოწინააღმდეგეთა აზრებს—ეს ნათლად სჩანს დ. თაფურაძის წრილებიდან, რომელიც ამ ჟამთ „გვალში“ იბეჭდება და აქ აღარ განვიმეორებთ.

ხედავსნათა ამხანაგების „შრამის“ თავმჯდომარედ ნამუფთა ბ. ახნაზარცუმა „ივერისში“ დაბეჭდა წრილი (№ 58) თავის თავის შესახებ და გვთხოვს ჩვენს გადაბეჭდოთ. ჩვენ ამას სიამფანებით შევასრულებდით, რამ მისი ხანმობი სიმართლეს მოკლებული არ იყოს. ავტორი ამბობს: მე, მართლაც, არ ამომიჩიეს ამხანაგების თავმჯდომარედ, მაგრამ მე თვითონ უარი განვაცხადე წრილობით კენჭის ურახე და რატომ ამომიჩიე-

³⁾ ეგ ბრტყალეში მოყვანილი სიტყვებიც ბ. მარველს ეკუთვნის, თუმცა ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი მოვასწინოთ მარველს, რომ მისი ფრაზა „სიტყვის უაზრო ბრახი-ბრუხია“ და მეტი არაფერი და ამაში დამნაშავე მისი ცოდნაა.

⁴⁾ ეგ-კი გლეხებისთვის შეუძლებელია. მათ შემოსავალი არ აძლევს ნებას გააუმჯობესონ თავიანთი მეურნეობა. გლეხთა მამული ბეღვასში ვალითაა დატვირთული; ბევრ მათგანს მიწაც ვალით აქვს შეძენილი და მათი მამული ისევ ვალს მიაქვს... აქ დიდ როლს თამაშობს კაპიტალისტთა, მებანკეთა სპეკულაცია. რიცხვი ვალში გაყიდულ გლეხთა მამულებისა ყოველ წლებით მატულობს. ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

დენო. ასეთ შემთხვევაში მიღებულია ასე: ამ წერილობით უარს კრებს წაუკითხავენ და მით აცნობებენ წევრთ, ეს და ეს პირი კენჭს არ იყრისო. და როცა ასე მოხდება, საბუთად არავის მი-
 ეცემა თქვას, არ ამოიჩინოსო. ასე მოხდა მეტი „შრომის“ კრე-
 ბასზე? ჩვენ მიერ გამოკვლეულ ცნობებიდან სჩანს, რომ ბ. ახ-
 ნაზარაფის წერილობითი უარი კრებაზე არავის სმენია. გამკე-
 ბის წევრმა ბ. გიგაურმა, როცა შევეკითხეთ, პირდაპირ თქვა—
 ასეთი ქაღალდი არც მინახავს და არც გამოცხადდა. გამკეობის
 თავმჯდომარე ბ. ქურდიანი ამბობს, რომ ასეთი ქაღალდი არ
 მინახავს, ხოლო კრების თავმჯდომარე ბ. ჯ. ფურცელაძემ
 თქვა: მართალია, ახნაზარაფმა და ტარუაშვილმა რაღაც პრეტეს-
 ტის ქაღალდი შემოიტანეს (ანა-სრულ შაინთა შესახებ), მაგრამ
 კენჭის ურასზე უარს ამბობდენ თუ არა, არ მახსოვს. ხოლო
 რაც შეეხება წევრთ, ამათში ვინც ვინათ, ყველამ გაიგო ბ.
 ახნაზარაფის წერილი. ახლა ერთი მითხროთ, რანაირათ შეუ-
 ძღვრებოდა ჩვენი გაზეთის მამბიეს მიერ მხედველობაში ისეთი
 წერილობითი განცხადება, რომელიც არავის სმენია და გაუგო-
 ნია. მაშასადამე, სრული უფლება ჰქონდა ეთქვა რედაქტორს
 „ბ. ახნაზარაფი აღარ ამოიჩინოს“ (ბარათებით დასახელების
 დროს მხოლოდ ერთი კენჭი ამოსვლიდა). რაც შეეხება მეხადის
 შენიშვნას, „შრომი“ ხელიდან გამოცადავს არა-მკითხე მამბიე-
 ებსო—ეს ეხებოდა ყველა იმთ, ვინც მხოლოდ 20—30 კაცს
 სცნობდენ ამხანაგების ბატონებათ და სხვებს-კი გარეთ ავად-
 დენ. ხოლო ბ. ახნაზარაფის გაშვება თუ გათვრება რომ მთე-
 ლი ინტელიგენციის გათვრება-გაშვებას არ მოასწავებს—ეს,
 მაგნი, ყველამ უნდა იცოდეს, გარდა ბ. ახნაზარაფისა, რასა-
 კვირველია.

„ცნობის ფურცელი“ აღარ კმარებს ჩვენი აზრების გადა-
 მახინჯებას, ყველაფრის უკუღმართად გაკებას და ასე თავის თა-
 ვის დამარცხებას. იმას იარაღი წრფელი კამათისა ხელიდან და-
 უკვდავ და იარაღი, ყველა კაცის მიერ დაგმობილი, ხელთ
 აუღია. აბა, განსხვავთ თლაფსუ კვირაის ფელეტონი გა-
 სული კვირის ნომერში, წაიკითხეთ მისი დაუბობა ჩვენს გაზეთ-
 ზე (იხ. სვეტი მე-9) და თქვით: განა რომელიმე რიგანი გა-
 ზეთი ამ ჩვენს დროში მაინც დაბეჭდავს ასეთ რამეს მეორე
 გაზეთზე? ანაირი წერილები, მართალია, დახურულ კანკერტუ-
 ბით და ხელ-მოუწერელათ სშირათ იგზავნება, სადაც ჯერ არს,
 მაგრამ თუ ის გაზეთის ფურცელსაც იშოვიდა, აღარ გვეკონა.
 ეს მხოლოდ იმას ჰქონდა, თუ რა ხაირათ გათახსირდა ჩვენში
 ლიტერატურული ზნეობა. ჩვენ აქ არ მოვიყვანთ ამ ფელეტონ-
 ნის სტრიქონებს, ეს ჩვენ სათაქილოდ მიგვაჩნია. ვიტყვით
 მხოლოდ, რომ ეს სხვა გვარი ხელემიგაა და ამას შესაფერათ
 დააფასებს ისტორია...

კ ა ნ ვ ა ლ ი

„ცნობის ფურცელმა“ პროგრამა გააფართოვა!..—თლა-
 ფსუ კვირაის „ქალები“, „ვირები და ღორები“.—ვე-
 დოშვილის „ინტელიგენტი ცხვირი“.—„ჩიორას“ წრი-
 პინი და მისი თავის მართლება.

ამამად შემოძლია ვთქვა, რომ ყოველი ქართველი
 დიდის სიამოვნებით მიეგებება ახალი საუკუნის დასა-
 წყისს! მართალია, თოფების დაცლა ძალიან გვიყვარს თფი-
 ლისის ქუჩებსა და სასტუმროებში, მაგრამ დარწმუნებუ-
 ლი იყავით, რომ არც ერთი ქართველი არ გასტენავს
 ზარბაზანს ამ ახალი წლის უკან გამოსადგენებლად მერ-

მის იანერის შუალამისას, როდესაც ახალი წელი და ძვე-
 ლი განიყრებიან ერთურთისაგან. არა, რა ხელმა უნდა
 გაისროლოს ეს ზარბაზანი! ნუ თუ მას ქართველობა
 აღარა სწამს! ნუ თუ არა სწამს, რომ ამ ახალმა წელმა
 ძველს ყანყრატოდან ამოაცალა თლაფსუ კვირაია და მით
 ახლად დასდო ჩვენს სამშობლოს დიდი ღვაწლი და მას-
 თან ერთად გაზეთ „ცნობის ფურცელს“!.. მე და ჩემმა
 ღმერთმა, ეს „თლაფსუ“ რომ არა ყოფილიყო, ვერავინ
 გაიგებდა, რომ „ცნობის ფურცელს“ პროგრამა გაუფარ-
 თოვდა. ხუმრობაა, ჯერ ჯორი რამოტელასა ჰყვირის და
 მის სიფართე „პროგრამა“ ხომ ჯერაც არ მოვლენია ქარ-
 თველ ერს!.. იქნება მკითხველი ვერ მიმიხვდეს, რაზე
 მაქვს ლაპარაკი?!

მაშ, თუ დრო არაფრად უღირს, წაიკითხოს თლა-
 ფსუ კვირაიას საკვირაო ფელეტონები „ცნობის ფურ-
 ცელში“ და იანგარიშოს, რამდენჯერ არის ნახსენები სი-
 ტყვა ჯორი, ღორი, ვირი და სხვა ამისთანა უნაზესი გრძნო-
 ბანი და მასთან ერთად იანგარიშოს, თუ რაოდენათ გა-
 ფართოვებულა ამ ცხოველებით ზემოხსენებული „პროგ-
 რამა“.

ჯერ იყო, ბატონებო, და პირველსავე ფელეტონში
 თლაფსუმ მამაკაციან-ღედაკაციანად (უკაცროდ კია-და!)
 ყველანი ვირებს აჰქიდა, მერე ზოგიერთები გადმოსხა
 აქედან, დაუჩოქა თვითონაც და სხვებიც მოიწვია დასა-
 ჩოქებლად, მიუთითა მათზე, ვითარცა მავალითზე, და რი-
 ხით გადმოსძახა ჩვენს საზოგადოებას: აი, მისაბაძი ქალები,
 აი ქალები, რომელთაც მართალია შლიაპა ხურავთ,
 მაგრამ სახალხო თეატრში შეიკუნტრუმებენ ხოლმეო.
 დაუჩოქეთ მათ და ეამბორეთ, ვითარცა სამშობლოსთვის
 თავ-განწირულ გმირებსო! მოდი და ნუ დაემორჩილები
 ამნაირ ბრძანებას! მოდი და ნუ მიჰბაძავთ მათ და არ შე-
 იქნევთ კუდს ერთხელ მაინც იქ, სადაც ხალხისთვის
 ასე უძგერთ გული!

თლაფსუ არამც თუ აქებს მათ, არამედ თვით „ცნო-
 ბის ფურცელს“ უწევს დიდ სამსახურს და თავისი აბლა-
 უბლით სურს გააქარწყლოს ის პრინციპიალური კითხვე-
 ბი, რომელზედაც უკეთესი იქნებოდა თვით „ცნ. ფურ-
 ცელს“ (და არა მის მეტ ხორცს თლაფსუს) გაეცა პასუ-
 ხი. მაგრამ, სჩანს, მისი პროგრამის გაფართოვება „თლა-
 ფსუ კვირაიას“ მოვლენა ყოფილა, იმ თლაფსუ კვირაია-
 სი, რომელიც უგემურათ ღეჭავს „ივერიის“ ჩიორას ნა-
 ღეჭს. მაგ., ჩიორა სწერს თელაველ ქალებზე, მეორე
 კვირას მასვე, მხოლოდ უფრო უგემურათ, იმეორებს
 თლაფსუ; ჩიორა დაიწრიპინებს ევდოშვილზე და მის „ინ-
 ტელიგენტი ცხვირზე“, მეორე კვირას თლაფსუს დაიყო-
 ყინებს იმაზედვე... ვიცი, რომ ჩიორა შტატ-გარეთი
 აბლაკატია, მაგრამ მისი აპელაცია თლაფსუს რომ გადა-
 აქვს „ცნ. ფურცელში“, ეს-კი ვერაფერია! გულ-წრფე-
 ლათ ვურჩევთ: ხარჯის შესამცირებლად „ცნობის ფურ-
 ცელი“ ჩიორას საფარველ ქვეშე შებრძანდეს.

ეს ყველა ყველა, მაგრამ ეს „ინტელიგენტი ცხვი-
 რი“ ცხვირი-კი არა, სწორეთ „კეტი“ ყოფილა, თორემ
 თუ სურათს უცხოობენ, როინოვის ფოტოგრაფია ხომ
 ახლოა! სცადონ, შეადარონ თავიანთი „ინტელიგენტი
 ცხვირები“ ჩიორა-თლაფსუებმა იმ ევდოშვილის მიერ მათ
 მიმართ მიძღვნილ ცხვირს და იქნება ზედაც გადაეხვიონ,
 ვითარცა სახესა თვისსა, ესოდენ საყვარელსა და სათუ-



თსა. „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“, ამბობდენ ჩვენი მკვლელები (იხარეთ, პატრიოტო, ძველები ვახსენე) და არც ურიგოთ უთქვამთ! თლაფსუმ წარსული კვირის წვერ-მიმტვრეულ „ისარში“ ერთი თავისი თავის ტოლა იუმორი გამოჰქიმა! მან სთქვა, „ოხ, ღმერთო ჩემო, სა-თქმელად მეძნელება“, ვითომც მისი გამოცანა ევდოშვილის „ინტელიგენტი ცხვირი“ ყოფილიყოს (ახა, ღმერთო, კიდევ ეს ცხვირი! მეორე „პანამაა“ რაღა!) და ეს გამოცანა ვითომც სათავად-აზნაურო სკოლის შევირდებ-მა ახსნეს. ჯერ ერთი, სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფენი გასტრონომები არ არიან, რომ გაიგონ, რა იხარ-შება თლაფსუს თავში, მეორეც ისა, არც ისეთი მსუნა-გები გახლავან, რომ თლაფსუს ერთი გულა ხიზილალა-სათვის თავები იმტვრიონ.

პატივი მარხვას და, კაი რამე კია ხიზილალა, აი! მიკვირს, თლაფსუმ სხვას როგორ დაუთმო ეს ნოყიერე-ბა! სამართალი მოითხოვდა, რომ იგი მიეძღვნა თავისს მასწავლებელ „ჩიორასთვის“, იმ ჩიორასთვის, რომელიც კაკანათში მიტანებული წრიბინებს მთელი ორი თვე თე-ლაველ ქალებზე, რომელთაც გასცეს-რა ერთხელ მარ-თებული პასუხი, ღიახ კარგათ იქცევიან და თავს აღარ უყადრებენ მის ოხუნჯობას. უთუოდ კარგად იციან, ვინ და რა ბრძანდება ჩიორა! „კვალის“ ერთ ნომერში მეც მივეცი ნება ჩემ თავს და შევნიშნე ამ ჩიტუნისა, რომ სამგლოვიარო ღღეს, იმ ღღეს, როდესაც სიღარბისღე და რიგიანობა მოითხოვდა, ქართული გაზეთი, როგორც თვით საზოგადოება, შესაფერის გლოვის ზარით გამო-სთხოვებოდა უკანასკნელათ თ. რ. ერისთავს, ამ ჩიორამ დარბაისელ გაზეთ „ივერიის“ გვერდებზე „წიკიურტი“ დაუწერა ნეკროლოგი დიდებულ პოეტს. შევნიშნეთ-რა ეს, ჩიორას ჩიტის გული აღვსია სიბრაზით და მარტო „რიგოლეტოს“-კი არ უღებს პასუხს, არა, იგი გამოეხმაურა ევდოშვილსაც. ის ამბობს:

„კარგად ვიციანთ „რიგოლეტოს“. იგი დიდი მე-გობარა ჩემ მიერ შექმნილ და შედიდებულ(?) „ცხვირის“ ავტორისა და მახსანის ერთის მდფაწისა და ხალხის გულ-შემატკივარისა, რომლის ჭირისუფლობაც ქიზიულებმა ძლივს აიცილეს თავიდან“... „ამ გმირის ჩვენ შორის მო-ვლენას, თუ მარჯვე დრო შემჩნა (დახეთ, „ჩიორას“?!), შემდეგ დავსახსიათ სიკვამილას“ და სხ.

„სიგდე-სიგანით დახასიათებას“ „ივერია“ ჩვეულისა, მაგრამ, რაღაც მანქანებით, ყოველთვის მისი „სიგრძე-სი-განე“ გამოდის დახასიათებული და არა სხვისი... შეი-ძლება მე, რიგოლეტო, მართლა დიდი მეგობარიც ვიყო ევდოშვილისა, მაგრამ ეს მახსანის „გულ-შემატკივარი“, რომლის ჭირისუფლობა ქიზიულებმა ძლივს აიშორეს თავიდან, სწორე მოგახსენოთ, ძნელი მისახვედრი და გა-საგებია. დიდ სამსახურს გამიწვევს ჩიტუნია, თუ ახდის ფარდას ამ საიღუმლოს და მომცემს მიზეზს დავსდო სა-ცო და კარი ძნელი პირსა მისსა.

„ჩიორას“, როგორც ემჩნევა, ყველაფერი კარგათ ხსომებია, ყველაფერი, გარდა ერთისა! სახელდობრ, დი-ვიწყებია (დასწყევლოს ღმერთმა გულ-მაგიწყობა!), რომ რიგოლეტო დიდი მეგობარია ევდოშვილისა, რომელმაც დასწერა არა მარტო „ინტელიგენტი ცხვირი“, არამედ „პატარა ყარამანიანიც“. ბატონი „ჩიორა“ ერთად-ერთი მეგობარია „პატარა ყარამანიანში“ სიგრძეზე (სიგანე არა

აქვს!) დახასიათებულ „კუკუ მდევისა“ და მიკვირს, რათ აუქცია მას მხარი. და ბოლოს ნუგეშ ვცემ და მოვახსენებ ორივე ჩემ საყვარელ მეგობრებს—თლაფსუს და ჩიორას, რომ იწერება და მალე მიერთმევათ მათ მესამე კა-რი „პატარა ყარამანიანისა“ მათგან ათვალწუნებული ავ-ტორის ევდოშვილისა. ხოლო ვიჩქარი სიუჟეტი ახლავე გავუზიარო მათ. მესამე კარი „პატარა ყარამანიანისა“ შეიცავს „კუკუ მდევის და კოკლი მდევის ქანქარებას“. იქვე ახსნილი იქნება, რადგან ეს ინება ჩიორამ, რას ნიშნავს სიტყვა „პანწყები“ და სხვა და სხვა ამიერიდან უკუნისამდე, ამინ.

რიგოლეტო.

ბ ი ბ ლ ი მ მ რ ა შ ი ა.

„კონა დასაწყისი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდან“, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

ბუნების ცოდნა და მის ძალთ დამრჩილება,—ამბობს ავ-ტორი თავის წინასიტყვაობაში,—შეადგენს ერთს უმთავრესს ბუნებას ადამიანისა, ერისა და კაცობრიობის ბუნებებისა... ქარ-თველებს ანაფერა გაკვეთება ჩვენი მრავალ-ფერფერის ბუნებისა, მისი სიმდიდრისა, ხელიდგან გვეცლება იგი... სთავე ამ უბე-ღურების დამალულია შინაურს ადრდაში, სდაც იოტის ოდენს უურადდება ანა აქვს მიქცეული ბუნების მეტყველებსა...“ და აი, ამ ნაკლის შესავსებათ პატრიარქულ ავტორს ზემოთ მო-ხსენებული „კონა“ შეუდგენია. წიგნი იწყება პატარა მოთხრო-ბით: „ბელურა ჩიტის დაჭერა“. ბაღში პატარა ალუბალი იდგა. ეს ალუბალი დაჩემებული ქქინდა პატარა დათიკოს. ალუბალს ბელურა შეეჩვია და კენკა დაუწყო. დათიკომ ბელურა დაჭირა, მაგრამ ისევე გაუშვა, რადგანაც შეებრალა და ალუბალიც მოიღია. შეიძლება ეს მოთხრობა თავის-თავათ შეენიერებ იყოს, მაგრამ ბუნების მეცნიერება აქ რა შუაშია?! ამგვარი შინაარსის მო-თხრობები არა ერთი და ორი შეგხვდებათ წიგნში ბუნების მე-ცნიერების სახელით. მაგიერში უმეტესი ნაწილი მოთხრობებისა სასვებით ამართლებს წიგნის სათაურს; ბევრი საჭირო და საინ-ტერესო ცნობანი მარტო და გასაკები ენით არის გადმოდე-მული; ამბები ცხოველების და მცენარეების შესახებ მეტათ გო-ნიერულათ არის შედგენილი და კარგ სამსახურს გაუწევს ჩვენს მოზარდ თაობას. სასურველია მხოლოდ, მომავალ გამოდეში შესწორებულ იქნას ის ორივე შედგომა, რომელიც ავტორს მოსვლია „კონაში“. ერთ ადგილას ავტორი სწერს: „ხარი უწინ-დედ დროში გარეული ზირუტევი იყო“. რომელი ზირუტევი არ იყო უწინდედ დროში გარეული?? „კაცმა ზირუტევი მოშინა-ურებული ხარები დაჭკვალა და ხორცი კარგ ფასათ გაჭკვიდა“. ამ ხანში, რაცა ადამიანმა ზირუტელათ მოშინაურა ხარი, უიდეა-გაუიდეა არ უნდა ყოფილიყო. „ინდურს თავი ძლიან პატარა აქვს, ამიტომაც ჭკუაზედ მეტად სუსტად არის“. თავის სი-დიდეს გონიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენი ჩერხეტა ცხვარი ბრძენთა-ბრძენი იქნებოდა.

საზოგადოათ წიგნი მეტათ სასურველია მოზარდ თაობა-სათვის; შეადგენს „წერა-კითხვის საზოგადოების“ საკუთრებას და უდიდ ღირს ორ საზხად.

ს ა მ ე წ ნ ი ე რ ო ც ხ ო ბ ე რ ი.

რა გავლენა აქვს ბავშვებზე დედებისაგან მაგარი სასმელების ხმარებას.

ღედების მიერ მაგარი სასმელების ხმარებას რომ ცუდი გავლენა აქვს ბავშვებზე, ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. ასე-

Handwritten note: მხედველად...
 ?...
 შეგახიბა.

თი მანვე ზედ გავლენა აქვს ყმაწვილზე დედისაგან მაგარი სასმელების ხმარებას არა თუ ჭუძუს წიგნის, არამედ ორსულ ობის დროსაც ეს აზრი იმდენად გამტკიცებულია, რომ მსმელ დედაცაც სახლში არაფერს ძიძათ არ შეუშვებს. მიუხედავად ამისა, საზოგადოებას ცხადია არა აქვს წარმოდგენილი; რა გვარი ვნება მოაქვს ბავშვისთვის ორსულის ან მამოვარი დედაცაცისაგან მაგარი სასმელების ხმარებას. ამ საგნის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა მორის ნიკოლუს წერილი.

საცდელათ ზღვის ღორებს მაკობისას კუჭში უშხაპუნებდენ წყალში გახსნილ სპირტს. ერთი საათის შემდეგ ხოცავდენ ღორებს და თანაც იღებდენ როგორათაც ღორის, აგრეთვე ჩანასახის (ნაყოფის) სისხლსაც; შემდეგ იკვლევდენ სპირტის რაოდენობას როგორც ერთში, აგრეთვე მეორეში. მრავალმა ამ გვარმა ცდამ აღმოაჩინა, რომ სპირტი ბლომად გადადის დედისაგან ჩანასახზე—თითქმის იმდენივე სპირტი აღმოჩნდა ჩანასახის სისხლში, რამდენიც დედისაში და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ჩანასახის სისხლი განიყოფება დედის სისხლისაგან ძალიან თხელი და ნაზი ტყავით.

დედა-კაცზე ამნაირ ცდას ხმარობდენ: ყმაწვილის დაბადების ასე ერთი საათის წინ ასმევდენ სტაქნის ერთ მეზუთედ რომს, რომელშიც 45° (ას ნაწილში 45 ნაწილი) სპირტი იყო. მშობიარობის შემდეგ, გამოიკვლიეს ყმაწვილის ბუდის სისხლი და აღმოჩნდა იქ სპირტი. ეს მაგალითი ცხადია ამტკიცებს, რომ დედა მიღებულ სპირტის ნაწილს გადასცემს ხოლმე დაუზადებელ ყმაწვილს. ახლად ჩასახულზე რომ უფრო ცუდად მოქმედებს სპირტი, ეს ხომ ყველასთვის ექვს გარეშეა.

იმის გამოსაკვლევად, თუ მაწოვარის მიერ სპირტულ სასმელების ხმარებას რა გავლენა აქვს შვილებზე, სხვა და სხვა გვარი ცდა იყო ხმარებული როგორც აღმინებზე, აგრეთვე ცხოველებზე. ძალღს შეუშხაპუნეს წყალში გახსნილი სპირტი (ას ნაწილში ათი). ერთი საათის შემდეგ ცხოველის რძეში აღმოჩნდა 1/4° სპირტი, ორი საათის შემდეგ ამდენივე და მხოლოდ რვა საათის შემდეგ 0, 11%. აღმინებზეც ასეთივე ცდა გაიმეორეს და იგივე აღმოჩნდა. უნდა შევნიშნოთ, რომ სულ მცირედი სპირტის მიღება დიდად მავნებელია, რადგანაც ძალიან ჩქარა გადადის რძეში და დიდხანსაც რჩება იქ.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ცხადია სჩანს, რომ სასმელებს მავნებლობა მოაქვს ბავშვებისათვის არა მარტო იმით, რომ ასუსტებს და ენერჯიას აკლებს მაწოვარებს, არამედ იმითაც, რომ პირდაპირ ყმაწვილშიც გადადის და შხამავს მას.

საქველმობიანი საქმი.

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც თავიანთი ქველმოქმედებით შემწეობა აღმოუჩინეს ხიდისთავის უფასო სამკითხველო წიგნთსაცავს: დიდად პატივცემულებმა ბ.ბ. სიმონ ბერევიანმა (სამკითხველოს დამარსებელმა) და სილოვან კალანდაძემ სხენებულნი სამკითხველოს ახალი შენობის ასაგებად შემოსწირეს პირველმა ოცი ბოჭკა ცემენტი, ხოლო მეორემ—ასი მანეთი და მით შეძლება გვეძლევა გავბედოთ შენობის აგება. წიგნებით შემწეობა აღმოუჩინეს: ბ.ბ. მიტ. ლალიძემ, ივ. კილაძემ, მოსე ნინიძემ, ქ. ევგ. სოლორავილიძემ და ბ. სილიბისტრო თავართქილაძემ; ხოლო ბ. სოლომონ თხილაიშვილმა შემოსწირა ფეხი, ღირებული სამ მანეთად. გუცხადებთ-რა ზემოხსენებულ პირთ მადლობას, მივმართავთ აგრეთვე ბასილეთის საზოგადოების ახალგაზდობას, რომლებიც გარეთ საწოვარზე იმყოფებიან, ნუ დაივიწყებენ თავიანთ სოფლის სამკითხველოს, და მის შენობის ასაგებად მოგვაწოდონ თავიანთი წვლილი, რაიცა დიდის მადლობით იქნება მიღებული.

სამკითხველოს გამგე ანტონ რამიშვილი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

თფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის ქუჩებში ჩარგული ხეები შეადგენენ ქალაქის საკუთრებას და არა სახლის პატრონისას. (3—2)

თფილისის კერძო სამაჟორნალო

მეურნალის მ. ვედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ბალეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა. დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ. მისეალ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ს. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 10—2.

ს. ნ. შატავა—თვალისა, 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქტაძე—ბავშვებისა, 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1.

მ. გ. ბეზარგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა, 1—2.

გ. ლ. შანტკევიანი—საქირურგო, 12 1/2—1 1/2 საათ., სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1 1/2—2 საათ.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედას სნეულებანი, 5—6.

ს. ა. ბელაგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური განკვლევანი, 5—6 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. შანტკევილი—შინაგან ავადმყოფ., 10—12.

სამეურნალოს აქვს სწავლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., რჩევატყები—მორიგებით. კრავტი 4 მ. დღე და დამუშ. ერთი კრავტი დაბათათვის უფასოა.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ

„ი ვ ე რ ი ა მ“

რომელსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველგვარ მთა-მად-ნეულობის საქმის წარმოება, —უკვე აიღო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.

ამასთანავე, საქმის გასადიდებლად და მევიდრ ნიადაგზე დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო, ძირითადი თანხა გაადიდოს და, ამის გამო, გამოსცეს **დამატებითი** პაები, თითო პაი 100 მან. ღირებული.

გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ-რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა მსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:

Въ гор. Баку. Князю Юсифу Юлоновичу Дадіани. Въ Контору Торгово-промышленнаго Товарищества „ИВЕРІЯ“, по Меркурьевской улицѣ, въ домѣ Арафелова.

ამავე ადრესით უნდა გამოგზავნოს ფული.

გამგენი ამხანაგობისა, სამთო ინჟენერნი:

{	თ. ი. ი. დადიანი
	თ. დ. გ. ჯორჯაძე
	პ. ვ. ბრაილოვსკი.

 (5—2)

თფილისის ქალაქის გამგეობა

თფილისის მეურმეთა და მედროგეთა შესახებ სავალდებულო დადგენილებათა მე-13 წ-ს თანხმად, უცხადებს მძიმე ბარგის გადამზიდველ ურმებისა და დროგების პატრონთ, რომ ამ საზოგადოების მამასახლისის და მისი კანდიდატის არჩევანი დანიშნულია ქალაქის გამგეობის დარბაზში 18 ამ თვეს, დილის 10 საათზე. ამისთვის სთხოვს ზემოხსენებულ ურმებისა და დროგების პატრონთ მობრძანდენ არჩევანის მოსახდენად დანიშნულ დროზე გამგეობის დარბაზში თავიანთ ნიშნებით ანუ სავალდებულო დადგენილებათა წიგნით.